ძალადობა, როგორც პოლიტიკა

ავტორი: ჩარლზ თილი
მთარგმნელი: გიორგი ჩუბინიძე

ორიგინალი: II თავი წიგნიდან: Charles Tilly (2003) The Politics of Collective Violence, Cambridge University Press.

ძალადობრივი ხელისუფლებები

კოლექტიური ძალადობით პაექრული პოლიტიკის ველზე შევდივართ, სადაც ადამიანები ერთმანეთს უწყვეტ, საჯარო და კოლექტიურ პრეტენზიებს უყენებენ. რა თქმა უნდა, ყველა პაექრული პოლიტიკა აუცილებლად ძალადობას არ შობს; ჩვენი პრობლემა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ავხსნათ როდის გადადის პაექული პოლიტიკა ძალადობაში. თავის მხრივ, ნებისმიერი კოლექტიური ძალადობა ამა თუ იმ ტიპის პაექრობას გულისხმობს.

პაექრული პოლიტიკის სფეროში შესვლის მარკერად შეგვიძლია განვიხილოთ მომენტი, როცა ხელისუფლებები ზოგადად, ინდივიდები თუ ორგანიზაციები, რომლებიც იძულების შესაძლებლობებს ფლობენ, ხდებიან უწყვეტი, საჯარო და კოლექტიური პრეტენზიების წაყენების ერთ-ერთი მხარე. მთავრობები პაექრობის მხარე ხდებიან, როგორც პრეტენზიის წამყენებელი სუბიექტი, პრეტენზიის წაყენების ობიექტი, ან როგორც დაინტერესებული მხარე. როცა ორი მუსლიმური აქტივისტური ჯგუფის ლიდერი ერთმანეთს ეჯიბრება, რათა ყველა მუსლიმის სახელით სალაპარაკოდ აღიარება მოიპოვონ, თავისთავად მთავრობა, რომელსაც ისინი უნდა ელაპარაკონ დაინტერესებული მხარე ხდება. მსგავსადვე, როცა მაღაროელები მაღაროს მფლობელების წინააღმდეგ იფიცებიან, მთავრობის წარმომადგენლებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ კონფლიქტში აქტიური (ან ხილული) მონაწილეობა, თუმცა მთავრობა მაინც იქვე იქნება, როგორც კოლექტიური შეთანხმების წესების დამდგენი, პოლიციური სამსახურების მიმწოდებელი ან შესაძლო მედიატორი. **მაშასადამე, კოლექტიური ძალადობა პაექრული პოლიტიკის ფორმაა. ის *პაექრულად* ითვლება, რადგან მონაწილეები აყენებენ პრეტენზიებს, რომლებიც მათი ოპონენტების ინტერესებსაც ეხება. ის *პოლიტიკურად* ითვლება, რადგან მონაწილეთა ურთიერთობა მთავრობასთან ყოველთვის სასწორზე დგას**.

საგულისხმოა, რომ ძალადობასა და მთავრობას შორის ფაქიზი ურთიერთობა ნარჩუნდება. სადაც და როცა მთავრობები სუსტია, მათი ნომინალური იურისდიქციის ქვეშ მყოფ მოსახლეობებში, ჩვეულებრივ, ადამიანებს შორის ძალადობა იზრდება. ამასთან, სადაც და როცა მთავრობები ძალიან ძლიერდებიან, ჩვეულებრივ მოქალაქეებს შორის ძალადობაც იკლებს. პოლიტიკოსები და პოლიტიკის ფილოსოფოსები ხშირად კარგ და ძლიერ მთავრობას ემხრობიან, როგორც ძალადობრივი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ დასაყრდენს. ამასთან, ყველა მთავრობა აკონტროლებს ძალადობის კონცენტრირებულ საშუალებებს იარაღის, ჯარების, დაცვისა და ციხეების სახით. მთავრობების

უმეტესობა ფართოდ იყენებს ამ საშუალებებს, რათა შეინარჩუნონ ის, რასაც მათი მმართველები საზოგადოებრივ წესრიგად განსაზღვრავენ.

გარდა ამისა, თითქმის ყველა მთავრობაში ზოგიერთი მმართველი ძალადობრივ მექანიზმებს იყენებს, რათა გაზარდოს თავისი ძალაუფლება და მატერიალური უპირატესობა. როცა მასშტაბური კოლექტიური ძალადობა ხდება, ამა თუ იმ ტიპის სამთავრობო ძალები, თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც თავდამსხმელები, თავდასხმის ობიექტები, კონკურენტები ან მასში ჩარეული სუბიექტები. საერთაშორისო ომი ძალადობაში ხელისუფლების მონაწილეობის ყველაზე უკიდურესი და ჯამში, ყველაზე მომაკვდინებელი შემთხვევაა. ამ მიზეზთა გამო, კოლექტიური ძალადობა და არაძალადობრივი პოლიტიკები მუდმივად ერთმანეთს კვეთენ.

მმართველები, პოლიცია, ფილოსოფოსები და ისტორიკოსები ხშირად ერთმანეთისგან განარჩევენ ძალას და ძალადობას. ძალა, ამ თვალსაზრისით, გულისხმობს ლეგიტიმური მოკლევადიანი ზიანის მიყენებას და კონფისკაციას, რაც ნიშნავს იმას, რომ გარკვეული პირები, რომლებიც ასეთ ზიანს აყენებენ, თავიანთ ქმედებებისთვის სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ. მაშასადამე, ძალა შეიძლება ლეგიტიმურ თავდაცვას გულისხმობდეს, მაგრამ არა არაპროვოცირებულ აგრესიას. ამ თვალსაზირით, ძალადობა ნიშნავს ზიანის მიყენებას, რომელიც არ სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.

ემსახურება თუ არა ძალისა და ძალადობის ერთმანეთისგან გარჩევა ჩვენს მიზნებს? როგორც მოქალაქეებს, ჩვენ ყველას გვსურს ასეთი განსხვავების გაკეთება; ჩვენ გვსურს ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ადამიანთა დაზიანების ან მათი ქონების ჩამორთმევის მიზნით სამთავრობო უფლებამოსილების სწორი და არასწორი გამოყენებები. სხვადასხვა ხარისხით და სამართლიანობის კონკურენტი განმარტებებით, ჩვენ აგრეთვე გვინდა მთავრობებმა გამოიყენონ თავიანთი კონცენტრირებული იძულების მექანიზმები ძალადობის არალეგიტიმური გამოყენებების წინააღმდეგ. აქვე აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, ძალადობრივი ინტერაქციების ასახსნელად, გამიჯვნა (ლეგიტიმურ) ძალასა და (არალეგიტიმურ) ძალადობას შორის სამ გადაულახავ პრობლემას აწყდება:

პირველი, ლეგიტიმური ძალის ზუსტი ზღვარი ყველა პოლიტიკურ სისტემაში კვლავ ცხარე კამათის საგანია. გავიხსენოთ კამათი იმაზე, თუ რა წარმოადგენს პოლიციის მხრიდან ეჭვმიტანილის დევნის სწორ ან არასწორ ფორმებს, სიკვდილით დასჯის მართებულობას თუ არამართებულობას ან ომში მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ დასაშვებ სამხედრო ქმედებებს. ჯერ მშვიდობიანი და შემდეგ ძალადობრივში გადაზრდილი აქციების განმავლობაში, აქციის მონაწილეები და პოლიცია თითქმის ყოველთვის პაექრობენ იმის განსასაზღვრად, თუ რა წარმოადგენს ძალის ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ გამოყენებებს.

მეორე, პრაქტიკაში ფართო გრადაციას ვაწყდებით ხოლმე, რომლის ერთ ბოლოში (1) სათანადოდ დასაბუთებული სამთავრობო ქმედებაა და მის სისწორეს ეჭქვეშ არავინ აყენებს, შუაში (2) სამთავრობო უწყებების დაუდევრობა და ხოლო მეორე ბოლოში (3) ზიანია, მთავრობის გარკვეული ნაწილის ფარული მხარდაჭერით ან ხელშეწყობით მიყენებული. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ 1960-იან წლებში FBI-ს მიერ აგენტების ჩანერგვა შავკანიანთა ნაციონალისტური ჯგუფების ძალადობრივ ორგანიზაციებში, 1980-იან წლებში ამერიკის მიერ გვატემალაში, ელ სალვადორში და ნიკარაგუაში პარამილიტარული ძალების მხარდაჭერა ან 1993 და 2001 წლებში მუსლიმი აქტივისტების მიერ ნიუ

იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმები. ყველა ამ შემთხვევაში, კოლექტიური ძალადობა ნაწილობრივ მთავრობის შინაურ თუ უცხოელ წარმომადგენლებთან ფარულ გარიგებებზე იყო დამოკიდებული. ამ გრადაციაში სად შეიძლება მყარი ზღვარის დადება გონივრულად, ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ ძალადობებს შორის? ვისი გადმოსახედიდან?

მესამე და ამ წიგნის მიზნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ის კოლექტიური ძალადობის მომენტებია, როცა ადამიანები აწყობენ არეულობას, ამბოხებას ან ახდენენ რევოლუციას, რა დროსაც სამთავრობო სუბიექტები ზიანის მიმყენებლები ან მისი ობიექტები არიან ხოლმე. მოკლული პოლიციელებისა და ჯარისკაცების ან მათ მიერ მოკლული მოქალაქეების რაოდენობის გათვალისწინების გარეშე, ჩვენ ვერ შევძლებთ ავხსნათ სხვადასხვა მომაკვდინებელ კოლექტიურ ქმედებას შორის განსხვავებები. მაგალითისთვის, 1871 წლის პარიზის კომუნაში, ერთ-ერთ წყაროზე დაყრდნობით,16,000 აჯანყებული საფრანგეთის ჯართან ქუჩის ბრძოლებში დაიღუპა, ხოლო ქუჩის ბრძოლების დასრულების შემდეგ გამარჯვებულმა ეროვნულმა არმიამ 3,500 აჯანყებული სიკვდილით დასაჯა, ამასთან, მთელ ამ პროცესში ეროვნული არმიის 880 წევრი დაიღუპა (Chesnais 1976: 168). კომუნის სისასტიკის შეფასებისთვის, ჩვენ აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ორივე მხრიდან ქუჩის ბრძოლებში დაღუპული 16,880 ადამიანი და ასევე 3,500 სიკვდილით დასჯილი. ანალიტიკური მიზნებისთვის, უცნაური იქნებოდა თუ ერთ ნაწილს ძალადობის შედეგად დაღუპულად ჩავთვლიდით, ხოლო მეორე ნაწილს ლეგიტიმური ძალის გამოყენების. თუკი აჯანყებულები გაიმარჯვებდნენ, მათი ძალადობრივი ქმედებები რეტროაქტიულად ლეგიტიმური ძალის გამოყენებად ხომ არ მოინათლებოდა?

ცხადია, ყველა კოლექტიური ძალადობა სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის დაპირისპირებისგან არ შედგება, თუმცა ბევრი შედგება, რაც ხელისუფლებისა და მოქალაქის ინტერაქციის ფრთხილ შესწავლას საჭიროებს. კოლექტიური ძალადობის შესწავლისას არ შეიძლება სამთავრობო ხელისუფლების ქმედებების ან სამთავრობო და არასამთავრობო აგენტების ურთიერთქმედებების უგულვებელყოფა. მართლაც, ჩვენ საბოლოოდ უნდა შეგვეძლოს ახსნა, ასე ძლიერ რატომ განსხვავდებიან რეჟიმები იმის მიხედვით, თუ რა სახის ძალადობის ფორმებსა და აქტორებს უჭერენ მხარს, ანიჭებენ ლეგიტიმაციას, შეიწყნარებენ ან კრძალავენ.

ამ თავში წარმოდგენილია ასეთი დიდი განსხვავებების პოლიტიკური კონტექსტი. რეჟიმების მოკლე მიმოხილვის შემდეგ, მასში განხილული იქნება პოლიტიკური აქტორების ორგანიზების წესის [constitution], პოლიტიკური საქმოსნების, როგორც კოლექტიური ძალადობის მაკავშირებლებისა და მაორგანიზებლების განსაკუთრებული ადგილი და პოლიციისა თუ ბანდიტების მსგავსი ძალადობის სპეციალისტების მნიშვნელობა. შემდეგ შედარებული იქნება რეჟიმების უფრო ზოგადი ტიპები, დახასიათებული იქნება სხვადასხვა ტიპის რეჟიმებში პოლიტიკური ურთიერთქმედების ზოგადი ნიმუშები და უფრო ახლოს იქნება გაანალიზებული სხვადასხვა ტიპის რეჟიმების კოლექტიური ძალადობის ინტენსივობებსა და რაგვარობებს შორის ვარიაციები. პოლიტიკური კონტექსტების მიმოხილვამ უნდა გააადვილოს იმის გაგება, თუ როგორ აყალიბებს ზოგადად პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზება კოლექტიური ძალადობის ხასიათს და ასევე რამდენად მჭიდროდ ურთიერთქმედებენ პოლიტიკური ცხოვრების ძალადობრივი და არაძალადობრივი ფორმები.

მოდით, ამ ამოცანისთვის კონცეპტუალური ინსტრმენტების მარტივი ნაკრები ავიღოთ. მთავრობის იდენტიფიცირების შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია ამ მთავრობის გარშემო ორგანიზებული პოლიტიკური აქტორები მოვიძიოთ, რომლებიც ზოგჯერ მთავრობასთან ურთიერთქმედებენ. მათი

ურთიერთქმედების მთლიანობა ერთმანეთთან და ხელისუფლებასთან წარმოადგენს პოლიტიკურ რეჟიმს. რეჟიმის ფარგლებში შეგვიძლია განვასხვავოთ:

სამთავრობო აგენტები, პოლიტიკური ერთეულის წევრები (რომლებიც წარმოადგენენ პოლიტიკურ აქტორებს და რუტინული წვდომა აქვთ მთავრობის წარმომადგენლებსა თუ მათ რესურსებზე); *მოწინააღმდეგეები* (რომლებიც წარმოადგენენ პოლიტიკურ აქტორებს რუტინული წვდომის გარეშე); *სუბიექტები* (პირები ან ჯგუფებიც ამჟამად არ არიან პოლიტიკურ აქტორებად შემდგარები); და *გარე პოლიტიკური აქტორები*, მათ შორის სხვა ქვეყნის მთავრობები.

ესენი, ცხადია, აქტორთა მთელი კატეგორიებია და არა ცალკეული აქტორები. კონცეპტუალურად მთავრობები მათ ორ კატეგორიულ დონედ ყოფენ: ზოგად და შემდეგ ქვეკატეგორიულ დონეებად. მაგალითისთვის, ზოგადად, ნებისმიერი მთავრობა ერთმანეთისგან ჰყოფს თავის სამთავრობო აგენტებს და პოლიტიკური ერთეულის წევრებს, რასაც, როგორც წესი, სამთავრობო აგენტებში სახელმწიფო რესურსების პირდაპირი ჩადებით აკეთებს და მსგავს რესურსებზე წვდომისთვის ის, ამავდროულად, პოლიტიკური ერთეულის წევრებისგან მოითხოვს დადგენილი პროცედურების (ფორმალური აპლიკაციები, პეტიციები, ხელშეკრულებები, მოსმენები და ა.შ.) მიდევნებას.

მთავრობები ასევე ხანდახან იღებენ ან აძლიერებენ საზღვრებს, რომლებიც ოპონენტებს პოლიტიკური ერთეულის წევრებისგან აშორებს, იმაზე ვაჭრობით, თუ ვინ ეკუთვნის მათ და ვის აქვს უფლება ისაუბროს ოპონენტების სახელით, მაშინაც კი, როდესაც მათ უარს ეუბნებიან სამთავრობო რესურსებზე რუტინულ წვდომაზე. მაგალითად, 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ადრეულ ეტაპებზე, აშშ-ს სამთავრობო აგენტებმა სამოქალაქო უფლებების დამცველი ორგანიზაციების ლიდერებთან ისე დაიწყეს საუბარი, არავითარ შემთხვევაში არ აღიარებდნენ, რომ ისინი აფროამერიკელებს წარმოადგენდნენ. მოგვიანებით, ისეთმა ორგანიზაციამ, როგორიცაა ფერადკანიანთა წინსვლის ეროვნული ასოციაცია, მუდმივი ადგილი დაიმკვიდრა მთავრობის მიერ მხარდაჭერილ რასობრივი ურთიერთობების დისკუსიებში, მაშინ როცა მთავრობა განაგრძობდა შავკანიანი ნაციონალისტური ჯგუფების შევიწროებას. ამგვარად, განსხვავებები სამთავრობო აგენტებს, პოლიტიკური ერთეულის წევრებს, ოპონენტებს, სუბიექტებს და გარე პოლიტიკურ აქტორებს შორის სამართლებრივ ხასიათს იძენს.

კატეგორიების ფორმირება თავისთავად გადამწყვეტი პოლიტიკური პროცესია. კატეგორიის ფორმირება ქმნის იდენტობებს. სოციალური კატეგორია შედგება ადგილების ერთობლიობისაგან, რომლებიც იზიარებენ საზღვარს და რომელიც ყველა მათგანს ერთმანეთთან აკავშირებს, ასევე მათ მთლიანობაში, მკაფიოდ გამორიცხული სხვა ადგილების, სულ მცირე, ერთი ნაკრებისგან გამიჯნავს. კატეგორიის ფორმირება ხდება სამი განსხვავებული მექანიზმის საშუალებით: გამოგონება, სესხება და შეხვედრა. *გამოგონება* გულისხმობს საზღვრის ძალისმიერ [authoritative] გავლებას და ამ საზღვარზე ურთიერთობების სავალდებულო მოდელის განსაზღვრას [prescription], მაგალითად, როდესაც ბოსნიელი სერბი ლიდერები წყვეტენ, ვინ არის ბოსნია-ჰერცეგოვინაში სერბი და ვინ არა, რითაც შემდეგ არეგულირებენ სერბების არასერბებთან ურთიერთობას. *სესხება* გულისხმობს სხვაგან უკვე არსებული სასაზღვრო კავშირების პაკეტის იმპორტირებას და მის ადგილობრივ გარემოზე მორგებას. ამის მაგალითია რურალური ფრანგი რევოლუციონერები, რომლებიც პარიზისა და საფრანგეთის სხვა დიდი ქალაქების მოდელზე, თავის მხრივ, პატრიოტებად და არისტოკრატებად დაიყვნენ. *შეხვედრა* გულისხმობს თავდაპირველ კონტაქტს ადრე განცალკევებულ (მაგრამ შიგნიდან კარგად

დაკავშირებულ) ქსელებს შორის, რომლის დროსაც ერთი ქსელის წევრები მეორე ქსელის წევრებთან რესურსებისთვის იწყებენ კონკურენციას, რა დროსაც ურთიერთქმედებით წარმოქმნიან საზღვრებისა და ურთიერთობების განსაზღვრებებს.

საგულისხმოა, რომ კატეგორიული საზღვრები ჩნდება აქტორების ძირითად ჯგუფშიც. მაგალითად, ნებისმიერ კონკრეტულ მთავრობას შეიძლება ურთიერთობა ჰქონდეს სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის წევრებთან, რომლებიც ადგილობრივ თემებად, რელიგიურ კრებებად, სამხედრო ნაწილებად და მესაკუთრეთა კატეგორიებად არიან ორგანიზებული. გარდა ამისა, ჩვენ ცოტა ხანში მოგვიწევს გამოვყოთ პოლიტიკური აქტორების ორი ურთიერთმკვეთი ტიპი, რომლებიც კოლექტიური ძალადობით არიან გამორჩეული: (i) პოლიტიკური საქმოსნები, რომელთა სპეციალობა გულისხმობს საარჩევნო ოლქების ორგანიზებას, დაკავშირებას, დაყოფასა თუ წარმომადგენლობას; და (ii) ძალადობრივი საშუალებების გამოყენების სპეციალისტები, როგორებიცაა: ჯარისკაცები, პოლიცია, ხულიგნები და ბანდის ლიდერები. განსხვავებები სახელისუფლებო აქტორებს, პოლიტიკური ერთეულის წევრებს, ოპონენტებს, სუბიექტებს და გარე პოლიტიკურ აქტორებს შორის მხოლოდ ანალიზის დასაწყისია. ისინი ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი გამყოფი არსებობს იმ აქტორების, რომლებსაც რუტინული წვდომა აქვთ სამთავრობო უწყებებსა და რესურსებზე სხვებისგან (მაგ. საპროტესტოდ განწყობილი ეროვნული უმცირესობების), რომლებსაც არ აქვთ ეს წვდომა.

ტრანზაქციები სახელმწიფო აქტორებს, პოლიტიკური ერთობის წევრებს, ოპონენტებსა და სუბიექტებს შორის ერთიანობაში *რეჟიმს* ქმნიან. რეჟიმის შიგნით საჯარო პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფო აქტორების, პოლიტიკური ერთობის წევრების, ოპონენტების, სუბიექტებისა და გარეშე პოლიტიკური აქტორების მიერ ერთმანეთისთვის პრეტენზიების წაყენებას. საჯარო პოლიტიკა ასევე გულისხმობს გადასახადების აკრეფას, სამხედრო გაწვევას, ინდივიდუალურად ხმის მიცემას, საპენსიო მოთხოვნების გაკეთებას და ბევრ სხვა ტრანზაქციას, სადაც ხელისუფლებები მხარეს წარმოადგენენ.

პაექრული პოლიტიკა შედგება საჯარო პოლიტიკის იმ (დიდი) ქვეჯგუფისაგან, რომელშიც პრეტენზიები კოლექტიურია და რეალიზაციის შემთხვევაში გავლენას მოახდენს მათი ობიექტების ინტერესებზე. შესაბამისად, პაექრული პოლიტიკიდან გამორიცხულია გადასახადების რუტინული შეგროვება, სამხედრო სამსახურის მოხდა, ხმის მიცემა და პენსიის მოთხოვნა. აქედან ნესბიმიერი შეიძლება გახდეს პაექრობის საგანი, თუ ხალხი მათ კოლექტიურ წინააღმდეგობას გაუწევს. მაგალითად, ძველი რეჟიმის ევროპაში, სახალხო აჯანყებების დიდი ნაწილი დაიწყო სამეფო კარის მცდელობით დაეწესებინა ახალი ან გაზრდილი გადასახადები (Tilly: 1993).

უფრო მეტიც, საჯარო პოლიტიკის ზოგიერთი ფორმა თითქმის ყოველთვის მოიცავს კოლექტიურ პაექრობას; აჯანყებები, რევოლუციები, სოციალური მოძრაობები, დემონსტრაციები, საყოველთაო გაფიცვები და სადავო საარჩევნო კამპანიები ასახავს საჯარო პოლიტიკის არარედუცირებად პაექრულ ფორმებს. ზოგიერთი პაექრული მოთხოვნა, საბოლოოდ, პირების ან საგნების დაზიანების ფორმას იღებს; აჯანყებულები ხოცავენ მმართველებს, რევოლუციონერები ანადგურებენ სასახლეებს და ა.შ. ეს არის პაექრული პოლიტიკის ქვეჯგუფი, რომლის ვარიაციის ახსნასაც ვცდილობთ.

1994 წლის დასაწყისის რუანდაში პრეზიდენტი ჰაბიარიმანას მთავრობა დედაქალაქში (კიგალი) დაფუძნდა და ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე სადავო იურისდიქციას ახორციელებდა. პოლიტიკურ ერთობაში შედიოდნენ ჰაბიარიმანას ფრაქციისადმი ლოიალური ჰუტუს ჯგუფები, ხოლო

მოწინააღმდეგეები იყვნენ, როგორც დისიდენტური ჰუტუს ჯგუფები, ისე ფრაგმენტირებული ტუტსის ქსელები. მათაგან ზოგიერთი შეიარაღებული იყო. ოპონენტობასა და გარე პოლიტიკურ აქტორობას შორის ზღვარზე იდგნენ ტუტსის მილიციები, რომლებიც უგანდასთან რუანდის საზღვრის გასწვრივ ოპერირებდნენ. თავად უგანდის მთავრობა, რომელიც ტუტსის მილიციებს მასპინძლობდა და მათ რუანდაში თავდასხმების ბაზას აძლევდა, მნიშვნელოვან გარეპოლიტიკურ აქტორად ფიგურირებს.

დაპირისპირება ეხებოდა რუანდის სახელმწიფოსა და ტერიტორიაზე კონტროლის ურთიერთსაწინააღმედგო პრეტენზიებს. ამ შემთხვევაში, პრეტენზიები სწრაფად გადაიზარდა ძალადობაში. ჩვენი ამოცანაა, ავხსნათ, როგორ და რატომ იწყება ასეთი პროცესები. კერძოდ, განსასაზღვრია, თუ რატომ განსხვავდება ძალადობა თავისი მნიშვნელობით [salience] და კოორდინაციით. რუანდა გვაძლევს ერთად მაღალი მნიშვნელობისა და კოორდინაციის საშინელ მაგალითს. სხვაგან და რუანდაშიც კი, ძირითადად 1994 წლამდე, კოლექტიური ძალადობა ძირითადად ნაკლებად მნიშვნელოვანი და ნაკლებად კოორდინირებული სახით გვხდება. რა განაპირობებს ამ უზარმაზარ ცვალებადობას?

პოლიტიკური აქტორები და იდენტობები

სიტყვა „რეჟიმი“ აჯამებს სამთავრობო აგენტებს, პოლიტიკოსებს, ოპონენტებსა და სუბიექტებს შორის ურთიერთქმედებებს. უფრო ზუსტად, ის თავს უყრის ადამიანებს შორის უამრავ ტრანზაქციას ამ კატეგორიებში და შემდეგ მათ აბსტრაჰირებას ახდენს. მალე ცხადად დავინახავთ, რომ მნიშვნელობა აქვს თუ რამდენად ურთიერთქმედებენ ადამიანები როგორც დაზარალებული მოქალაქეები, განსაკუთრებული ინტერესების დამცველები, რელიგიური კრებები, ადგილობრივი თემები, ეთნიკური ჯგუფები, ჩაგრული ერები, ქალები, გეები, ვეტერანები თუ სხვა. **პოლიტიკური იდენტობების ხელმისაწვდომი ასორტიმენტი აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია**.

ვინ მოქმედებს? რა ტიპის ადამიანები ჩაერთვებიან პაექრულ პოლიტიკაში? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა ტიპის ადამიანებისგანაა მოსალოდნელი, წარმოადგენინონ ერთობლივი საჯარო პრეტენზიები, რომლებიც მთავრობებს, როგორც ობიექტებს ან მესამე მხარეებს მიემართება და მათი რეალიზაციის შემთხვევაში, პირდაპირ იმოქმედებს იმ პირთა ინტერესებზე, რომლებიც არ არიან მათი ჯგუფის წევრები? პრინციპის დონეზე, ადამიანთა ნებისმიერი დაკავშირებული ჯგუფი (მოცემული რეჟიმის ფარგლებში), ვისთვისაც ხელმისაწვდომია ამ პოლიტიკური ერთეულის ოპერაციებში საერთო ინტერესის განმარტება, შეიძლება ასეთად კვალიფიცირდეს. პრაქტიკაში, ძალიან მცირე მასშტაბის მიღმა, ყველა აქტორი, რომელიც მონაწილეობს მოთხოვნების წაყენებაში, თავის თავში მოიცავს ადრე დაკავშირებულ პირთა მინიმუმ ერთ ჯგუფს, რომელთა შორისაც ცირკულირებს ფართოდ მიღებული ნარატივები თავიანთ სტრატეგიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით: შესაძლებლობები, საფრთხეები, მოქმედების ხელმისაწვდომი საშუალებები, ამ ქმედებების სავარაუდო შედეგები, ამ შედეგების შეფასება, სამოქმედო ძალები, წინა დავების მეხსიერება და ნებისმიერი ქმედების სხვა სავარაუდო მხარის შესაძლებლობები. ბევრი ჰუტუ აქტივისტი, რომლებმაც 1994 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ხელი შეუწყვეს რუანდაში ტუტსებისა და არაკონფორმული ჰუტუების ხოცვა-ჟლეტას, ეკუთვნოდა, მაგალითად, კარგად ურთიერთდაკავშირებულ მილიციას. ამ უკანასკნელს პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა. მისმა სიკვდილმა სისხლისღვრა გამოიწვია (Mamdani: 2001).

პრაქტიკაში, ასეთ აქტორებს, როგორც წესი, ადრე უკვე ჩამოყალიბებული, პაექრული თუ არაპაექრული ურთიერთობები აქვთ ხოლმე სხვა კოლექტიურ აქტორებთან; ამ ურთიერთობების საფუძველზე ჩამოყალიბებულია აქტორთა შიდა სტრუქტურები და მათი ნარატივები. პრეტენზიების წამყენებელი აქტორები ხშირად შედგება, არა ცოცხალი ინდივიდებისგან, არამედ ჯგუფებისგან, ორგანიზაციებისგან, სოციალური ურთიერთობების კრებულებისგან და ისეთი სოციალური ადგილებისგან, როგორებიცაა საქმიანობა ან სამეზობლო. აქტორები ქსელებისგან შედგებიან, რომლებიც იყენებენ სხვა აქტორებთან ნაწილობრივ საზიარო ისტორიებს, კულტურებს და კოლექტიურ კავშირებს. კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება ჰუტუელ მილიციებზე, როგორც 1994 წლის რუანდას გენოციდში მაკავშირებელ როლზე.

ასეთი აქტორები თითქმის არასდროს აღწერენ თავიანთ თავს შედგენილ ქსელებად. ნაცვლად ამისა, ისინი კოლექტიური არსებითი სახელებით მოქმედებენ: თავიანთ თავს მუშებს, ქალებს, X ადგილის მცხოვრებლებს ან Y-ის წინააღმდეგ მებრძოლ ერთიან ფრონტს უწოდებენ. ასეთი *პოლიტიკური იდენტობები* გვთავაზობს საჯარო, კოლექტიურ პასუხს კითხვაზე ,,ვინ ხარ?“, ,,ვინ ვართ ჩვენ?“ და ,,ვინ არიან ისინი?“. ეს არსებითი სახელები მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ დგანან და მოლაპარაკების საგანს წარმოადგენენ, - ვინ ლაპარაკობდა ჰუტუელების სახელით, ვინც სრულიად რუანდელების, 1994 წელს სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხად იქცა.

პოლიტიკური იდენტობები შემდეგ საკვანძო ელემენტებს მოიცავენ:

- *საზღვრები,* რომლებიც ,,ჩვენ“ ,,მათგან“ გვყოფს, მაგალითად, ჰუტუელებს ტუტსებისგან;
- საზიარო *ნარატივები* ამ საზღვრების შესახებ, მაგალითად, ჰუტუელთა ნარატივები ჰუტუელებისა და ტუტსების განმასხვავებელ თვისებებზე, ასევე მათი განსხვავებების წარმოშობაზე;
- საზღვრების გასწვრივ არსებული *სოციალური ურთიერთობები,* მაგალითად, ჰუტუელებისა და ტუტსების მიმართვის ფორმები, რომლებიც მათ შორის ურთიერთქმედებებს მართავენ;
- საზღვრებს *შიგნით* სოციალური ურთიერთობები, მაგალითად, ჰუტუელთა მანიშნებლები, რითაც ისინი ერთობაში თავიანთ წევრობაზე მიანიშნებენ.

პოლიტიკური იდენტობები ბევრად მეტ პოლიტიკურ სამუშაოს გასწევენ, ვიდრე პრეტენზიების წასაყენებელ ნიადაგად ყოფნაა. კომპლექსური პროცესი, ძალიან მარტივად რომ გამოვთქვათ, სამთავრობო აგენტები პოლიტიკურ იდენტობებს ლეგიტიმურებად და არალეგიტიმურებად ჰყოფენ, აღიარებულებად და არაღიარებულებად. ზოგი რეჟიმი უშვებს ვიწრო ინტერესების მქონე კავშირებს, როგორებიცაა გრინფისი ან ბოი სკაუტები, როგორც ლეგიტიმურ პოლიტიკურ აქტორებს, ხოლო ზოგი რეჟიმი არ უშვებს არანაირ საჯარო არასამთავრობო გაერთიანების არსებობას. მაშინაც, როცა ზოგან ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი კატეგორიების სახელით მოლაპარაკე ორგანიზაციებს არსებობის ლეგიტიმური უფლება აქვთ, ნაწილი ორგანიზაცია იღებს თავისი ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი კატეგორიის ვალიდურ წარმომადგენლად აღიარებას, ზოგი ვერა. **პოლიტიკური უფლებები აღიარებისთვის ბრძოლის მეშვეობით ჩნდება** (Foweraker & Landman 1997; Tilly 1998a).

ნაციონალიზმის აღმასვლამ დიდი გავლენა მოახდინა ბრძოლების ხასიათზე. ასეთი აღიარებისთვის, ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებამდე, ხალხი იშვიათად ითხოვდა უფლებებს ან პრეტენზიას აცხადებდა, რომ სხვებს ჰქონდათ მათდამი ვალდებულება, რადგან ისინი გარკვეულ ერს

მიეკუთვნებოდნენ. **ადამიანები თავიანთ ერთგულებას რელიგიური და კულტურული ტრადიციებისადმი იჩენდნენ, თუმცა ძირითადად ისინი კოლექტიურ ქმედებაზე გადადიოდნენ მაშინ, როცა ვინმე სხვა მათ მოსპობას ან მათზე მიბმული უფლებების აყრას ცდილობდა. გვიანი მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ნაციონალიზმმა პოლიტიკური პრინციპის სახით შეიძინა მნიშვნელობა: ერს უნდა ჰქონოდა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო დამოუკიდებელ სახელმწიფოს - თავისი ერი.**

ამ პრინციპიდან ნაციონალიზმის ორი ანტაგონისტური ვერსია გამომდინარეობდა. *ვერტიკალური* ნაციონალიზმის მიხედვით არსებულ მმართველებს უფლება ჰქონდათ თავიანთი რეჟიმების სუბიექტებისთვის განესაზღვრათ ეროვნული კულტურისა და კეთილდღეობის თავიანთი შერჩეული განმარტებები. *ჰორიზონტალური* ნაციონალიზმის მიხედვით კი ცალკეულ ერებს ჰეტეროგენული სახელმწიფოების შიგნით უფლება ჰქონდათ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების: ერთიმეორეს კვებავდა, მმართველები რაც უფრო მეტად ცდილობდნენ ეროვნული კულტურებისა და ვალდებულებების თავს მოხვევას, გამორჩული უმცირესობები უფრო მეტად ცდილობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას. ვინაიდან ადამიანები ხშირად ნდობის, ვაჭრობის, სოციალურობისა თუ ურთიერთდახმარების ქსელებს უწევდენენ ორგანიზებას, რელიგიური და ეთნიკური კავშირების გარშემო, ვერტიკალურმა ნაციონალიზმმა პირდაპირ ვერ შეძლო უმცირესობების თვითშეფასების მორყევა, თუმცა მათ ყოველდღიურ არსებობას დაემუქრა.

ამერიკის რევოლუციიდან მოყოლებული, ძლიერი სახელმწიფოების ლიდერებმა, განსაკუთრებით საფრანგეთის რევოლუციურმა და ნაპოლეონის შექმნილმა სახელმწიფოებმა გამოიყენეს თვითგამორკვევის პრინციპი, რათა დაეშალათ მათთან დაპირისპირებული ძალების კონსტრუქციები, როგორიც ჰაბსბურგებისა და ოსმალეთის იმპერიები იყვნენ. ამრიგად, ბევრი ტიპის რეჟიმის პირობებში უმცირესობებისთვის ხელსაყრელი გახდა თავიანთი თავისთვის მშენებლობის პროცესში მყოფი ერი ეწოდებინათ, რათა შეექმნათ ისტორიები და პრაქტიკები, რომლებიც მათ ასეთად მოხსენიებას გაამართლებდა და ასევე, დამოუკიდებლობის მისაღწევად გარე მხარდაჭერა მოეთხოვათ. ინიციატივიანმა ეთნიკურმა ლიდერებმა მალევე შენიშნეს, რომ მათ ძალაუფლების მოპოვება ვალიდური ერების წარმომადგენლებად აღიარების მოპოვებით შეეძლოთ და მარტივად შეეძლოთ დაეკარგათ ეს ძალაუფლება, თუკი ამას, სხვა პირველი გააკეთებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური ძალადობრივი კონფლიქტები სწორედ ასეთი პრეტენზიების გარშემო ხდებოდა.

უფრო მცირე მასშტაბით მსგავსი აღიარების ბრძოლები მოხდა მთელი რიგი სხვა იდენტობების სახელითაც. როგორც ამერიკელმა გეი და ლესბოსელმა აქტივისტებმა შენიშნეს, პოლიტიკურ აქტორად ლეგიტიმიზების მოპოვება მნიშვნელოვან ხარჯებსა და სარგებელს გულისხმობს (Bernstein 1997). მაგალითად, საკუთარი თემის უსამართლოდ გამორიცხულად წარმოდგენა საჭიროებს ადრე გამორიცხულ უმცირესობებთან მსგავსებების ჩვენებას, რაც წარმატების შემთხვევაში, ახალ უმცირესობას წვდომას აძლევს უკვე დამკვიდრებულ უფლებებზე. როგორც გეი და ლესბოსელი ინტერესების სახელით მოლაპარაკეებს შორის კონკურენცია აჩვენებს, აღიარების ინტერესი ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ცალკეული ორგანიზაციებისა და ლიდერებისთვისაც: წარმოადგენს თუ არა ACT UP, მაგალითად, ყველა ამერიკელ გეის?

,,იდენტობის პოლიტიკა“ შედგება ლეგიტიმაციისა და აღიარებისკენ მიმართული ბრძოლებისგან. ბრძოლები მიმდინარეობს გარკვეულ საზღვრებში, ამ საზღვრების გასწვრივ, საზღვრების მდეობარეობაზე და ბუნებაზე, საზღვრებს მიბმული ისტორიების გარშემო და ურთიერთობებზე, ერთი მხრივ, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც იზიარებენ საერთო პასუხს კითხვაზე ,,ვინ ხარ შენ?“, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა პოლიტიკურ (მათ შორის სამთავრობო) აქტორებს შორის (Tilly: 2002).

ძალადობის პოლიტიკური ანტერპრენიორები და სპეციალისტები

თანამედროვე სოციალური მოძრაობების ხსენებამ უნდა გაგვახსენოს პოლიტიკური აქტორები, რომელებიც დღემდე დუმდნენ. მათი ეკონომიკური ანალოგების მსგავსად, *პოლიტიკური ანტერპრენიორები* სხვადასხვა სახის შუამავლურ ფუნქციას ასრულებენ: ისინი ქმნიან ახალ კავშირებს აქამდე დაუკავშირებელ სოციალურ ადგილებს შორის. ამასთან, უფრს მეტს აკეთებენ, ვიდრე ადგილების დაკავშირებაა, აგრეთვე სპეციალიზებულები არიან გააქტიურებაში, დაკავშირებაში, კოორდინაციაში და წარმოდგენაში. ისინი სპეციალიზდებიან საზღვრების, ნარატივების და კავშირების აქტივაციაში (და ზოგჯერ დეაქტივაციაში), როგორც ეს ბოსნიელი სერბი ლიდერების შემთხვევაში მოხდა, როცა კიდევ უფრო მკაფიო გახადეს საზღვრები სერბებსა და მათ მუსლიმ ან ხორვატ მეზობლებს შორის. მათთან სერბული წარმოშობის ბოსნიელებს დიდი ხნის ურთიერთშერევის, შერეული ოჯახების, ვაჭრობისა და თანამშრომლობის საერთო ისტორია ჰქონდათ. აღნიშნული პოლიტიკური ანტერპრენიორები სპეციალიზებულები არიან სხვადასხვა ჯგუფისა და ქსელის დაკავშირებაში (და ზოგჯერ კავშირის გაწყვეტაში). იგივე ლიდერებმა შეირაღებული სერბული დაჯგუფებები უფრო დიდ ნაციონალისტურ კოალიციებში გააერთიანეს. ისინი სპეციალიზებულები არიან კოორდინაციაში; ამ ლიდერებმა კოალიციების ნაწილის საერთო მოქმედებას გაუკეთეს ორგანიზება.

ბოლოს, პოლიტიკური ანტერპრენიორები სპეციალიზდებიან წარმოდგენაში, როცა მაგალითად, ბოსნიელმა სერბმა ლიდერებმა პრეტენზია განაცხადეს ყველა სერბული წარმოშობის ბოსნიელის სახელით ლაპარაკზე და ამავდროულად დახმარება მოითხოვეს სერბეთისგან, ბოსნიის ფარგლებში დაეფუძნებინათ სერბული პოლიტიკური ერთეულები. ამ მეთოდებით, პოლიტიკური ანტერპრენიორები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ კოლექტიური ძალადობის არსებობაზე, არარსებობაზე, მის ფორმაზე, ადგილზე და ინტენსივობაზე. როცა ისინი ხელს უწყობენ ძალადობას, ამას საზღვრების, ნარატივების და უკვე დაგროვებული ძალადობის ისტორიების მქონე ურთიერთობების აქტივაციით აკეთებენ ძალადობრივი აქტორების აქამდე არაძალადობრივ მოკავშირეებთან დაკავშირებით; დესტრუქციული კამპანიების კოორდინირებით და ძალადობის მუქარით თავიანთი ჯგუფების წარმოდგენით. პოსტფაქტუმ, მონაწილეებიც და დამკვირვებლებიც ღრმადგამჯდარ იდენტობებსა თუ საუკუნოვან მტრობაზე ლაპარაკობენ. დაპირისპირებამდე და მის დროს, პოლიტიკური ანტერპრენიორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ძალადობრივ ვითარებებში მონაწილეთა გააქტიურებაში, დაკავშირებაში, კოორდინირებასა და წარმოდგენაში.

აქტივაციის, დაკავშირების, კოორიდინირებისა და წარმოდგენის მეშვეობით, პოლიტიკური საქმოსნები ყოველთვის ჩართულები არიან უთანასწორობის წარმომშობ შესაძლებლობების დატაცებაში. ისინი ხშირად ჩართულები არიან ექსპლუატაციაშიც, ამასთანავე, შესაძლებლობების დატაცებას უწევენ ორგანიზებას, ქმნიან ან ააქტიურებენ ჩვენ-ისინი საზღვრებს თავიანთ ქსელებსა და გარეშე პირებს შორის. აქვე აღსანიშნავია, რომ ისინი თავიდან იცილებენ კონკურენტებს, რომლებსაც

ასევე სურთ მოახდინონ ზოგი ან ყველა ამ ქსელის კოორდინირება და წარმოდგენა, კიდევ, ამ ქსელებისგან ისინი აუცილებელ რესურსებს იზიდავენ. შემდეგ ისე იყენებენ, რომ ერთდროულად კოლექტიური პრეტენზიებიც დაკმაყოფილდეს, მათ მიერ შექმნილი სტრუქტურებიც და თავიანთი ძალაუფლებაც შეინარჩუნონ. ცხადია, ისინი ზოგჯერ ამა თუ იმ გზით მარცხს განიცდიან. თუკი ასე ხდება, მარცხი კოლექტიურ ძალადობას იწვევს ხოლმე თავად კოალიციის შიდა საზღვრებში, ვინაიდან მათთან დაპირისპირებული საქმოსნები და მათი დაჯგუფებები იწყებენ აქტივაციის, დაკავშირების, კოორდინირებისა და წარმოდგენის მექანიზმების კონტროლისთვის ბრძოლას.

როცა პოლიტიკური საქმოსნები უფრო დიდი კოალიციის ძალისხმევის კოორდინირებას კოალიციაში შემავალი მცირე სიმრავლის სასარგებლოდ ახდენენ, მათ მიერ შესაძლებლობების დატაცება ექსპლუატაციის ფორმა ხდება. ხაზგასასმელია პაექრული პოლიტიკის აღნიშნული ცნობილი რისკები, რადგან ისინი გვეხმარებიან ავხსნათ, თუ რატომ უწყობენ ხელს პოლიტიკური საქმოსნები კოლექტიურ ძალადობას, როცა მათი მთლიანი ჯგუფის ინტერესების ცივი გონებით წაკითხვა, დაშლას, გაქცევას ან გარინდვას გვკარნახობს. ისინი საზღვრების აქტივაციის სპეციალისტები ხდებიან, რომლებიც კოლექტიური ინტერესების მისეულ წაკითხვას ემსახურებიან.

პოლიტიკური საქმოსნები ავსებენ და კვეთენ პოლიტიკური აქტორის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტიპს, *ძალადობის სპეციალისტს.* ნებისმიერ ხელისუფლებას ძალადობის სპეციალისტები ჰყავს, ადამიანები რომლებიც პირებზე და საგნებზე ზიანის მიყენების საშუალებებს აკონტროლებენ. პერსონაჟები იცვლებიან ხელისუფლების ტიპის მიხედვით, თუმცა როგორც წესი, ესენი არიან სამხედროები, პოლიციელები, ციხის ზედამხედველები, ჯალათები და სასამართლო ოფიცრები. ჩემს ახალგაზრდობაში ა.შ.შ.-ს საზღვაო ძალებში რვა გემისგან შემდგარ ამფიბიურ ესკადრილიაში მოლარედ ვმსახურობდი. როცა მე და ჩემი თანამშრომლები ჯარისკაცებისთვის ხელფასების გადასახდელად მივდიოდით, ჩვენ 45 კალიბრიან პისტოლეტებს გადატენილს შემოვირტყამდით ხოლმე, ნაღდი ფულის დაცვის მიზნით, რომელსაც გემიდან გემზე თან დავატარებდით. მართალია, ჩუბინები არცერთი ვიყავით, მაგრამ მაგ დროს ძალადობის წვრილი სპეციალისტები ვხდებოდით (საზღვაო ბაზის ყარაულთან უსიამოვნო შელაპარაკებისას ჩემი იარაღი ზედმეტად გამოვაჩინე, რამაც კინაღამ სამხედრო სასამართლოზე მომახვედრა. ჩემნაირი მშიშრებიც კი საშიშები ხდებიან, როცა მათ იარაღს აწვდიან). ძალადობის სამთავრობო სპეციალისტების უმეტესობა უფრო დიდ იძულების მექანიზმებს განაგებს და უნარების უფრო ფართე სპექტრს, ვიდრე ჩემი პატარა პისტოლეტია. მასში შედის ყველა, დაწყებული სნაიპერებით, გაგრძელებული არტილერისტებით და დასრულებული ჯალათებით.

საგულისხმოა, რომ ძალადობის ბევრი სპეციალისტი ხელისუფლების მიღმა მოქმედებს. ზოგი სპორტსმენი: მოკრივე, გლადიატორი, ტორეადორი და რაგბის მოთამაშე, ზიანის მიყენებაში სპეციალიზდება. შეიარაღებული დაცვა, კერძო პოლიცია, გასამხედროებული ჯგუფები, პარტიზანები, ტერორისტები, ყაჩაღები, ბანდიტები, გამტაცებლები, შემსრულებლები, დაპირისპირებული ბანდის წევრები და მანქანების მლეწავები ზოგჯერ მთავრობის გარანტიებით სარგებლობენ, მაგრამ ხშირად მის მიღმა ოპერირებენ და არ ემორჩილებიან. მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში ევროპული მოდელის ცენტრალიზებული სახელმწიფოების გაჩენამდე, მართლაც, აურაცხელი ძალადობის სპეციალისტი, თითქმის მთელ მსოფლიოში, თავიანთ საქმიანობას სულ მცირე ხელისუფლების კონტროლისგან ნაწილობრივი დამოუკიდებლობის პირობებში ასრულებდა. ძლევამოსილი ჩინური დინასტიებიც კი დაუმორჩილებელ საველე მეთაურებთან და ბანდიტებთან ერთად თანაცხოვრობდნენ,

ასევე იმპერიის კიდეებზე მცხოვრებ შეიარაღებულ, მტაცებლურ მომთაბარე ხალხებთან. თავად ევროპაში, კერძო არმიები, დაქირავებული ჯარისკაცები, ადგილობრივი მილიციები, ბანდიტები და პირატები, ხან პაექრობდნენ და ხან თანამშრომლობდნენ ნომინალურად ეროვნულ ჯარებთან (Thomson: 1994).

ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ძალადობის სპეციალისტები სისხლის წყურვილით არიან მოტივირებულები, ვინაიდან მათი უმეტესობისთვის ხშირად პოლიტიკური ურთიერთქმედების იდეალური შედეგი სხვების ზიანის მიყენების გარეშე მანიპულირებაა. ნამდვილად ეფექტური სპეციალისტი ძალადობის *მუქარას* ისე დამაჯერებლად იყენებს, რომ სხვები მას ზიანის მიყენებამდე ემორჩილებიან (Blok 2001; Cohn 1993). ცხადია, შიგადაშიგ სისასტიკის ჩვენება სპეციალისტის რეპუტაციას ამყარებს, ხოლო აშკარა გამოწვევების წინაშე უკან დახევა სპეციალისტის სანდოობას აზიანებს. რეალურ ცხოვრებაში არსებულმა მაფიოზმა (მათი კინემატოგრაფიული სიმულაკრასგან განსხვავებით) ეს კარგად იცის; დაუმორჩილებლობაზე ძალადობის მუქარით, ისინი ხელშეკრულების გარანტიას იძლევიან იქ, სადაც სასამართლო და სანათესაო მის უზრუნველყოფას ვერ ახდენენ, თუმცა აქა-იქ მაფიოზებიც აჩვენებენ თავიანთ მზაობას მოკლან, დაასახიჩრონ და გაძარცვონ (Blok 1974, 2001; Gambetta 1993; Varese 2001; Volkov 2002). ხელისუფლების მხარდაჭერილი ჯარების შემთხვევაში, პარადები და შეიარაღების ჩვენება, თითქმის იმავე ეფექტს იძლევა. ზიანის მიყენების თვალხილული მზაობა უფრო მეტად აძლიერებს ძალაუფლებას, ვიდრე თავად ზიანის მიყენება.

მაშასადამე, პოლიტიკური საქმოსნის კატეგორია ნაწილობრივ ემთხვევა ძალადობის სპეციალისტის კატეგორიას. მათ კვეთაზე ჩვენ ვხვდებით დაქირავებულ მებრძოლთა ლიდერებს, საერთაშორისო იარაღით მოვაჭრეებს, რეგიონულ საველე მეთაურებს, სამხედრო მმართველებს და ბევრ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც იყენებს თავის შეირაღებულ ძალებს. კაცობრიობის ხანგრძლივ ისტორიაში, მართლაც, ყველაზე მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ფიგურებმა, საქმოსნობა იძულების მექანიზმების კონტროლს შეურწყეს. მხოლოდ ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძალაუფლების უიარაღო მპყრობელი გავრცელებული პოლიტიკური აქტორის ტიპი გახდა.

თანამედროვე ინდოეთი ძალადობის სპეციალისტების კარგ მაგალითებს გვაძლევს, რომელთაგან ზოგი პოლიტიკური საქმოსანია. ფსიქიატრი ეთნოგრაფი, სუდჰიკ კაკარი აღწერს *ფელვანს* (მოჭიდავე-შემსრულებელი), რომელსაც ის მუსლიმი პოლიტიკური ლიდერის მეშვეობით ჰიდერაბადში შეხვდა. აკბარს, ფელვანს, სამართალდარღვევების გრძელი ბიოგრაფია აქვს, დაწყებული 20 წლის ასაკში ჩადენილი წვრილმანი დანაშაულით. ცოტა ხნით ის პოლიციელიც გახდა იქამდე, სანამ პოლიციის ინსპექტორს თავს არ დაესხა და ციხეში მოხვდა. ახლა ის სასტუმროს ფლობს და სამ ჭიდაობის გიმნაზიას, თუმცა ყველაზე მეტ ფულს ის ,,მიწის ბიზნეში“ აკეთებს:

> პირდაპირ რომ ვთქვათ, ,,მიწის ბიზნესი“ ინდოეთის მორყეული სამარლებრივი სისტემის შედეგია. ვინაიდან მესაკუთრისა და მოიჯარის, ისევე, როგორც მიწასთან და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა დავები სასამართლოს მეშვეობით ათწლეულები გრძელდება. *ფეჰლვანს* დავის ერთ-ერთი მხარე უკავშირდება, რათა გამოასახლოს ან სხვა მხრივ დააშინოს მეორე მხარე. დავის ამ გზით ,,მოგვარების“ შემდეგ, *ფეჰლვანი* თავისი მომსახურებისთვის დიდ ანაზღაურებას იღებს. კარგად ცნობილი *ფეჰლვანებისთვის*, რომლებიც გიმნაზიებს ფლობენ და ფიზიკურად ძლიერ ახალგაზრდებს მუდმივი წყარო აქვთ სტუდენტებისა თუ მრავალმიზნობრივი ასისტენტების სახით, მიწის ბიზნესი შეიძლება ძალიან მომგებიანი იყოს (Kakar 1996: 60).

როცა ორივე მხარე თავის *ფეჰლვანს* ქირაობს, ორი შემსრულებელი ხშირად ერთად ჯდება და პირდაპირი ჩხუბის გარეშე რიგდება; მთლიანობაში ორივე მხარეს ძალის არსებობა ართულებს დაპირისპირებულთა არმორიგებას. ამასთან, როცა ჰინდუები და მუსლიმები ჰიდერაბადის ქუჩებში არკვევენ ურთიერთობას, აკბარის სპორტსმენები წინა რიგებში მუსლიმების მხარეზე დგებიან. აკბარი სიამაყით ამბობს:

> მცდარია წარმოდგენა თითქოს ყოველი არეულობისას უფრო მეტ მუსლიმს ხოცავენ, ვიდრე ინდუსს. სრული თავდაჯერებულობით შემიძლია ვთქვა, რომ სულ მცირე ჰიდერაბადში ეს ასე არაა. აქ მუსლიმები ძალიან ძლიერები და ერთიანები არიან. ყოველი არეულობისას აქ უფრო მეტ ინდუსს ხოცავენ, ვიდრე მუსლიმს (Kakar 1996: 64).

ცხადია, აკბარი ერთგვარი პოლიტიკური საქმოსანია, რომელიც სპეციალიზებულია აქტივირებაში, დაკავშირებაში, კოორდინირებასა და წარმოდგენაში, თუმცა აკბარი და მისი ახალგაზრდა კაცები ასევე ძალადობის სპეციალისტებიც არიან. 1980-იან და 1990-იან წლებში ინდოეთში ნასწავლი, პოლ ბრესი საუბრობს ,,არეულობის ინსტიტუციონალიზებულ სისტემაზე“, რომელიც მთელი რიგი ძალადობის სპეციალისტებისგან შედგება და პარტიის ლიდერების არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ მოქმედებენ (Brass 1997: 13-20). არეულობების გარდა, ისინი დაცვაში მუშაობენ ან სხვადასხვა ტიპის შემსრულებლებად, არეულობებში ერთგვარი კოორდინატორებისა და დამრტყმელი ძალის როლს ასრულებენ.

ვადიმ ვოლკოვი ძალადობის სპეციალისტების რუსულ ვარიანტს აღწერს, რომლებიც ავად მათ ინდიოელ კოლეგებს მოგვაგონებენ. როცა 1980-იან წლებში ეკატერინბურგში ბაზრები გაიხსნა, სპორტული კლუბების წევრებს ვაჭრებისთვის უსაფრთხოების სანაცვლოდ რეგულარული გადასახადების გადახდა შესთავაზეს. ისინი დახელოვნებულნი იყვნენ შურისძიებით ექსპლუატაციაში. ძალადობის ინსტრუმენტების კონტროლი მათ საშუალებას აძლევდა მაღაზიის მფლობელებისგან ხარკი ამოეღოთ. ურალმაშის ბანდის დამფუძნებლები ,,ძმები გრიგორი და კონსტანტინ ციგანოვები, მოჭიდავე სერგეი ვორობიოვი, მოთხილამურე ალექსანდრ ხაბაროვი და მოკრივეები სერგეი ტერენტიევი და სერგეი კურდიუმოვი“ იყვნენ (Volkov 2000: 734; ასევე იხ. Volkov 2002, თავი IV).

სხვა ბანდების მოსაშორებლად, ურალმაშის ბანდას ეკატერინბურგის რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება ბრძოლით უნდა მოეპოვებინა. მისი ლიდერები აქტიური პოლიტიკური საქმოსნები გახდნენ. მაგალითად, 1996 წელს ხაბაროვმა ორგანიზება გაუწია ბორის ელცინის მხარდამჭერ რეგიონულ მუშათა მოძრაობას. ამ დამსახურებისთვის კი მეორედ არჩეული პრეზიდენტისგან პირადი მადლობის წერილი და რეგიონის გუბერნატორისგან გრავირებული საათი მიიღო.

როგორც ვოლკოვი აღწერს, ადგილობრივი მოქალაქეები ამ ასოციაციას კვლავ კრიმინალურ ბანდად თვლიან, თუმცა მოღვაწეობას შემდეგნაირად აჯამებს:

> *ურალმაშის* რეკეტიორთა ბანდამ შემდეგი ევოლუცია განიცადა: ძალადობის სპეციალისტები, ყოფილი სპორტსმენები, ქმნიან ორგანიზაციას, ძალადობის მმართველ სააგენტოს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს უსაფრთხოების სანაცვლოდ ხარკი ამოიღონ ადგილობრივი ბიზნესისგან. ერთგვარი ტერიტორიული კონტროლის დამყარების შემდეგ, სააგენტო ომს იწყებს კონკურენტ ძალადობის მმართველ სააგენტოებთან. ის გადაურჩება და იგებს ურთიერთგადანგურების შეჯიბრში, იფართოვებს,

> როგორც ტერიტორიას, ასევე კომერციულ შესაძლებლობებს. არაფორმალურ შემსრულებლებს შორის მონოპოლიური პოზიციის დაკავების შემდეგ, ურალმაშის ბანდა გაცნობიერებულ არჩევანს აკეთებს საკუთრების გონივრულად დასაბეგვრად და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველსაყოფად, რითაც ის შედარებით უსაფრთხო გარემოს ქმნის და თავის ბიზნესპარტნიორებს კონკურენტულ უპირატესობას აძლევს (Volkov 2000: 741).

ჩვენ ვხედავთ, როგორ ამყარებს ახლო კავშირებს კრიმინალური ბანდა რეგიონულ მთავრობასთან; მართლაც, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხდება ის რაღაც სამთავრობო სააგენტოს მსგავსი. მართალია, ურალმაშის მსგავსი ორგანიზაციები აგრძელებენ ტექნიკურად არალეგალურ საქმიანობებს, ისინი უფრო და უფრო ერთვებიან თავად ბიზნესების მიერ მოთხოვნილი სერვისების უზრუნველყოფაში — დაცვის სამსახური, კონტრაქტების აღსრულება, ვალების დაბრუნება და ა.შ. მართალია, ისინი აგრძელებენ ქვედა რგოლებისთვის აწ უკვე გაუქმებული საბჭოთა რეჟიმის ციხეებში ჩამოყალიბებული ყაჩაღებისა და მძარცველების რეკრუტირებას და ზოგჯერ თავიანთ სერვისებს სთავაზობდნენ ძირითადად ყაჩაღობაში ან გამოძალვაში ჩართულ ორგანიზაციებს, დროთა განმავლობაში თავიანთ თავს გამოყოფენ ასეთი სამყაროებისგან. ბირთვულ შეკავებაში ჩართული მთავრობების მსგავსად, ისინი სპეციალიზდებიან მათ მიერ კონტროლირებული ძალადობის მექანიზმების სტრატეგიულ არგამოყენებაში (Volkov 2002, თავი III).

ეკატერინბურგის თავდგადასავალი შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რუსეთის 1990-იანი წლების სირთულეების ერთგვარი უნიკალური პირმშო, თუმცა, როგორც ვოლკოვი ამბობს, ის საერთო ისტორიულ პროცესს იმეორებს. არაერთხელ, ძალადობის ეფექტურმა არასამთავრობო სპეციალისტებმა მთავრობებთან შეკრეს ალიანსები, გახდნენ მთავრობების ნაწილი, ხელში ჩაიგდეს უკვე არსებული მთავრობები ან თავად გახდნენ მთავრობები. იქ, სადაც (აკბარის ჯარებისკაცებისგან განსხვავებით) ინდოელი შემსრულებლები რეგიონალურ მმართველ პარტიებთან შედიან ალიანსში, ისინი დაახლოებით ურალმაშევსკაიას მსგავსს პოზიციებს იკავებენ. ისტორია, რობინ ჰუდის ბანდიტების მიერ ინგლისის მეფის ძალებთან შეერთების შესახებ, გვთავაზობს იმავე სახის იგავს. ფაქტობრივად, ისტორიულ გამონაკლისებს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც სამთავრობო და არასამთავრობო ძალადობის სპეციალისტებს შორის ზღვარი მკაფიო და გაუვალია.

ახლო დამკვირვებელი ბილ ბერკლი აფრიკულ კოლექტიურ ძალადობას განიხილავს, როგორც იმავე ფენომენის უკიდურეს შემთხვევად.

> აფრიკაში ეთნიკური კონფლიქტი ორგანიზებული დანაშაულის ფორმაა. აფრიკის კონფლიქტების მამოძრავებელი „კულტურა“ სიცილიურ მაფიას ჰგავს, ან ლოს-ანჯელესში Crips and Blood-ს [ქუჩის დაჯგუფებები], სისხლისა და ოჯახის იგივე იმპერატივებით, რომლებიც აკავშირებს ასეთ დაჯგუფებებს. აფრიკის მეომარ დაჯგუფებების უკეთ გაგება შეიძლება, არა როგორც „ტომების“, არამედ როგორც რეკეტიორი ორგანიზაციების, მათი ლიდერები სტრატეგიებს დონ ვიტო კორლეონეს გამოცდილი ლოგიკის მიხედვით ამუშავებენ.
>
> აფრიკაში ამ ყველაფრის ფასი განსხვავებულია — ექსპონენციურად გაზრდილი იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო თავად არის ბანდა და კანონი არ არსებობს. თითქოს ვიტო კორლეონეს მსგავსმა ადამიანებმა ხელში ჩაიგდეს კონტროლი არა მხოლოდ საზოგადოების კიდეებზე, არამედ თავად სახელმწიფოსა და მის ყველა ორგანოზე: პოლიცია და ჯარი, საიდუმლო პოლიცია, სასამართლოები, ცენტრალური ბანკი, საჯარო სამსახური. პრესა, ტელევიზია და რადიო. (ბერკლი 2001: 15).

ბერკლი აფრიკაში ეთნიკური კონფლიქტების ერთგვაროვნებას აზვიადებს. როგორც რუანდას შემთხვევამ უკვე გვაჩვენა, მილიციები, პარტიზანები და თვითშეიარაღებული მოქალაქეები ხანდახან კრიტიკულ როლს თამაშობენ აფრიკის კოლექტიურ ძალადობაში მათ დაუმორჩილებლად, რომლებიც ნომინალურად მართავენ სახელმწიფოს. დაქირავებული მებრძოლები, როგორიცაა სამხრეთ აფრიკაში დაფუძნებული დაუნდობლად ეფექტური Executive Outcomes, მომაკვდინებელი ეფექტით ჩაერივნენ სიერა ლეონეში და სხვაგან (Shannon: 2002). როგორც ბერკლი ამბობს, აფრიკის მასშტაბით უამრავი მტაცებელური ძალადობა ხდება. ძალადობის სპეციალისტებიდან, ბევრი იმ ქვეყნების არამოქალაქეები არიან, სადაც მოქმედებენ და ზოგიერთი მათგანი ევროპელი დაქირავებული მებრძოლია ან ავანტიურისტი. ისინი უერთდებიან აფრიკის ორგანიზებულ დანაშაულებრივ სინდიკატებს ისე, რომ არ ხდებიან მათი მორჩილი მსახურები.

ლათინურ ამერიკაშიც ძალადობის სპეციალისტებმა არაერთხელ ჩაიგდეს ხელში ან დაარღვიეს ძალთა ბალანსი მთელ ქვეყნებში. რამდენადაც არასასიამოვნო შეიძლება იყოს, ცენტრალური ამერიკა განსაკუთრებით დაზარალდა ახლადშექმნილი შეიარაღებული შენაერთებისთვის გარე მოკავშირეების იოლი ხელმისაწვდომობის გამო. ისეთების, როგორიცა არიან ნარკორეალიზატორები, იარაღის მატარებლები და აშშ-ს მთავრობა. უილიამ სტენლი აღწერს საშინელ 1980 წელს ელ სალვადორში, როდესაც მკვლელებმა მიზანში ამოიღეს გენერალურ პროკურორი მარიო ზამორა რივასი, არქიეპისკოპოსი ოსკარ რომეროსი და გასამხედროებული ძალადობის ბევრი სხვა მოწინააღმდეგე. ეს მკვლელობები ყველაზე თვალსაჩინო იყო:

> ამ მკვლელობებს თან თითქმის თორმეტი ათასი სხვა მკვლელობა დაერთო. უმეტესობა ან შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს სასიკვდილო რაზმებმა, ან მოკლეს სამთავრობო ძალების მიერ სოფლად განხორციელებულ მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში. ყოველი დიდი დემონსტრაციის ან შრომითი გაფიცვის დროს, სახალხო მოძრაობა კარგავდა ათობით მხარდამჭერს და მთავარ ლიდერს. გარკვეული გაგებით, რეპრესიამ იმუშავა. დემონსტრაციები ზომაში შემცირდა და გარეგნულად ნაკლები ადამიანი გამოხატავდა მემარცხენე ორგანიზაციებთან კავშირს. თუმცა რეპრესიულმა სახელმწიფომ მაღალი ფასი გადაიხადა: მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრაციებისა და გაფიცვების მასშტაბი თანდათან შემცირდა, მემარცხენე ოპოზიცია პარალელურად სამხედრო სტრატეგიაზე გადავიდა. მაისში მემარცხენეებმა სამხედრო სტრუქტურის შესაქმნელად მებრძოლების სოფლად გადაყვანა დაიწყეს, სექტემბრისთვის ეს პროცესი საკმაოდ წინ წავიდა, თუმცა ჯგუფებს ჯერ კიდევ აკლდათ იარაღი, ხოლო ნოემბრისთვის, ახლა უკვე გაერთიანებულმა მემარცხენეებმა, როგორც Farabundo Martí Liberation Front (FMLN), საკმარისი იარაღის მოპოვება დაიწყეს არმიის შესაქმნელად (Stanley 1996: 178).

ელ სალვადორის შემზარავი გამოცდილებიდან ძალადობის სპეციალისტების შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ: ისინი ერთმანეთისგან სისტემატურად განსხვავდებიან მთავრობებთან სიახლოვის (და მათ მიერ დაფინანსების) მიხედვით; ისინი ხანდახან ძალადობის სპეციალისტების არსებული ორგანიზაციების წინააღმდეგ ორგანიზდებიან და მათი პოლიტიკები მკაფიოდ არ არის გამიჯვნული შეიარაღებული ძალებისგან, რომლებიც არსებულ მთავრობებს ეკუთვნიან. ეს დაკვირვებები ასევე მიესადაგება სამხრეთ აზიასაც, რუსეთსაც და აფრიკასაც.

მთელ მსოფლიოში, მაგალითად, კოლუმბიაში, კავკასიაში, პალესტინაში, ლიბერიაში, შრი-ლანკასა და ინდონეზიაში, ძალადობის სპეციალისტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კოლექტიური ძალადობის უფრო ფართომასშტაბიან ვერსიებში. რა თქმა უნდა, ძალადობის სპეციალისტებს შორის

ზოგჯერ არიან, ან ხდებიან ფანატიკოსები, კამიკაძეებიც კი. მათ შორის ასევე არის კანონიერი სახელმწიფოების მრავალი მორჩილი მსახური. მიუხედავად მათი ტიპისა, ისინი ხშირად ძალადობრივ პოლიტიკურ ურთიერთქმედებებს იწყებენ, ზოგჯერ არაძალადობრივ პოლიტიკურ ურთიერთქმედებებს გადაზრდიან ხოლმე ძალადობრივში და ხშირად განსაზღვრავენ პოლიტიკური ურთიერთქმედების საბოლოო სახეს, იქნება ეს ძალადობრივი თუ სხვანაირი.

ძალადობის სპეციალისტების კომპლექსურ, მაგრამ ცენტრალურ პოზიციას კოლექტიური ძალადობის შესწავლისთვის სამი ძირითადი შედეგი აქვს. პირველ რიგში, სწორია სამთავრობო აგენტებს, პოლიტიკური ერთეულის წევრებს, ოპონენტებს და გარე პოლიტიკურ აქტორებს შორის განსხვავებებით დავიწყოთ ხოლმე. თუ უფრო ახლოს შევხედავთ რეალურ რეჟიმებსა და ვითარებებს, ჩვენ მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ მოქნილი და გამაშუალებელი აქტორები, პოლიტიკური საქმოსნები და ძალადობრის სპეციალისტები, მათ შორის ყველაზე მეტად გამოირჩევიან. ვერცერთი მარტივი გამიჯვნა „აჯანყებულებსა“ და „წესრიგის ძალებს“ შორის ვერ შეძლებს კოლექტიური ძალადობის წარმომშობი რთული სოციალური ურთიერთქმედებების კონცეპტუალურ მოხელთებას.

მეორე, ძალადობის სპეციალისტები უბრალოდ არ ემსახურებიან უფრო დიდი ერთეულების (მთავრობების, პარტიების, თემების, ეთნიკური ჯგუფების ან სხვა) ინტერესებს, რომლებთანაც ამჟამად არიან დაკავშირებულნი. ისინი საკუთარ დინამიკას მიჰყვებიან, ასევე რეგულარულად ერთვებიან ექსპლუატაციაში და თავიანთი შესაძლებლობების გაფართოებაში, ზოგჯერ საკუთარი ნომინალური დამსაქმებლების ან მხარდამჭერების ხარჯზე. სულ მცირე, კოლექტიური ძალადობის ვარიაციების ნებისმიერი ახსნა უნდა ითვალისწინებდეს ამ სპეციალისტების მიერ იძულების საშუალებებისა თუ უნარების შეძენას და კონტროლს. რეჟიმები მნიშვნელოვნად განსხვავდება, უფრო მეტიც, ისინი განსხვავდებიან მათ მიერ შეთავაზებული შესაძლებლობებითა და იმ ადგილებით, სადაც ძალადობის სპეციალისტებს ამწესებენ. ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს გარდა იმისა, რომ განვიხილოთ ძალადობის საშუალებები ზრუნვისა და მათი კვების საკითხები: სამხედრო ძალების დაკომპლექტება და ორგანიზება, იარაღის მიწოდება, კავშირები უკანონო ვაჭრობასა და იარაღის ნაკადებს შორის, ომის ბეგარა, მძევლების, როგორც შემოსავლის წყაროდ აყვანა და უკვე დამკვიდრებული პოლიტიკური აქტორების მიერ ძალადობის სპეციალისტების დასაქმება.

მესამე, მთავრობებსა და ძალადობის სპეციალისტებს შორის ურთიერთობების ხასიათი ძლიერ გავლენას ახდენს რეჟიმის შიგნით კოლექტიური ძალადობის მასშტაბებსა და ადგილებზე. ჯამში, კოლექტიური ძალადობის მასშტაბის ზრდა დამოკიდებულია იძულების საშუალებების გამოყენებაში სპეციალიზებული აქტორების: ჯარების, საპოლიციო ძალების, კოორდინირებული ბანდიტების, მეკობრეების კონფედერაციების, კერძო სამხედრო კომპანიების, რეკეტიორებისა და მსგავსთა ზომაზე, გეოგრაფიულ არეალზე, რესურსებზე და თანამიმდევრულობაზე. საგულისხმოა, რომ ძალადობის სპეციალისტებზე დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლი ამ ეფექტებს აფერხებს. პირიქით, კოლექტიური ძალადობა იზრდება იმდენად, რამდენადაც სპეციალისტები უსხლტებიან დემოკრატიულ სამოქალაქო კონტროლს (ოქროს წესის მიხედვით: თუ რეჟიმის საპოლიციო ძალები უშუალოდ სამხედრო და არა სამოქალაქო ხელისუფლებას აბარებს ანგარიშს, ეს რეჟიმი მაღალი ალბათობით არადემოკრატიულია - ავტ. შენიშვნა).

როცა საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ იძულების მექანიზმების ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ გამოყენებას, კოლექტიური ძალადობა დამატებით იზრდება იმდენად, რომ ძალადობის

სპეციალისტთა ორგანიზაცია შესაძლებლობებს ხსნის პირადი შურისძიებისთვის და ახალისებს მტაცებლობას. ორგანიზებულ ძალადობაში მონაწილეობა ხსნის გზას პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისკენ, კოლექტიური ძალადობაც იზრდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ძალადობის სპეციალისტების მიერ ძალაუფლების ძიება ხელს უწყობს ძალადობრივი ურთიერთქმედების ტიპებს, რომლებსაც ვუწოდეთ კოორდინირებული დესტრუქცია და ოპორტუნიზმი. ძალადობის სპეციალისტები არ აყენებენ ზიანს უბრალოდ სიამოვნებისთვის ან იმ მოგებისთვის, რაც მას მოაქვს; ისინი იყენებენ ძალადობას და ძალადობის მუქარას საკუთარი პროექტების განსახორციელებლად.

კოლექტიური ძალადობის ფართო სპექტრში ძალადობის სპეციალისტებისა და პოლიტიკური საქმოსნების ურთიერთქმედება სხვა პოლიტიკურ აქტორებთან და ერთმანეთთან, ღრმად მოქმედებს მიყენებული ზიანის მასშტაბზე, ხასიათსა და ობიექტებზე. საჯარო პოლიტიკაში ძალადობის სპეციალისტებისა და პოლიტიკური საქმოსნების ადგილები სისტემურად განსხვავდება რეჟიმის ტიპის მიხედვით.

ვარიაციები რეჟიმებში

რეჟიმები ერთმანეთისგან ორი სახით განსხვავდებიან, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს მათში კოლექტიური ძალადობის ხასიათსა და ინტენსივობაზე: მთავრობის შესაძლებლობებისა და დემოკრატიის თვალსაზრისით. *მთავრობის უნარები* ნიშნავს იმას, თუ რამდენად აკონტროლებენ სამთავრობო აგენტები მთავრობის ტერიტორიაზე რესურსებს, საქმიანობებს და მოსახლეობას. აბსტრაქტულ დონეზე ის მერყეობს ასეთი კონტროლის თითქმის არარსებობასა (დაბალი) და თითქმის აბსოლუტურ კონტროლს (მაღალი) შორის. პრაქტიკაში, მთავრობები, რომლებიც არ ახორციელებენ მნიშვნელოვან კონტროლს რესურსებზე, დიდხანს ვერ ძლებენ. სამაგიეროდ, ისინი შიდა ზეწოლის შედეგად იშლებიან ან მეზობელი მთავრობები შლიან. მეორე უკიდურესობაში, არცერთი რეჟიმი არასდროს მიახლოებულა აბსოლუტურ კონტროლს; ჰიტლერი და სტალინიც კი თავიანთ ზენიტში შორს იყვნენ ყველა იმ რესურსის, საქმიანობისა და მოსახლეობის მართვისგან, რომლებიც სადღაც მათი რეჟიმების ფარგლებში არსებობდნენ.

დემოკრატია ნიშნავს მთავრობის იურისდიქციის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ფართო და თანაბარ ურთიერთობას სამთავრობო აგენტებთან, სამთავრობო პერსონალსა თუ რესურსებზე კოლექტიური კონტროლის განხორციელებას და სამთავრობო აგენტების მიერ თვითნებური ქმედებებისგან მათ დაცულობას. არადემოკრატიული კოლეგების მსგავსად, დემოკრატიული რეჟიმების მთავრობები ჩართულები არიან შესაძლებლობების გაზრდასა და მათ ექსპლუატირებაში; მაგალითად, ყველა რეალური დემოკრატიული რეჟიმი თავისი ძალისხმევის მნიშვნელოვან ნაწილს თავისი მოქალაქეების სარგებლისგან არამოქალაქეების ჩამოშორებაში ხარჯავს, მაგრამ დემოკრატიულ რეჟიმებში მოსახლეობის წილი, რომელიც რეალურად სარგებლობს შესაძლებლობების გაზრდითა და მათი ექსპლუატირებით — გაცილებით დიდია, ვიდრე არადემოკრატიულ რეჟიმებში.

ხუთი ათასი წლის განმავლობაში, როცა სოფლებზე უფრო დიდი მასშტაბის მთავრობები მართავდნენ მსოფლიოს უდიდესს ნაწილს, რეჟიმების უმეტესობას მცირე დემოკრატია ჰქონდა ან საერთოდ არ ჰქონდა. მხოლოდ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში გაჩნდა მნიშვნელოვანი რაოდენობის დემოკრატიული რეჟიმები. დღესაც კი, მსოფლიოს რეჟიმების მხოლოდ მცირე რაოდენობა ურწყავს

სამთავრობო აგენტებთან მოქალაქეთა შედარებით ფართო და თანაბარ ურთიერთობებს, კოლექტიურ სახალხო კონტროლს სამთავრობო პერსონალსა თუ რესურსებზე და სამთავრობო აგენტების თვითნებური ქმედებებისგან მოქალაქეების არსებით დაცულობას.



სურათი 2.1.

მთავრობის უნარების მსგავსად, დემოკრატიაც ფარდობითია. სურათი 2.1 ასახავს რეჟიმების სპექტრს უნარებსა და დემოკრატიასთან მიმართებით. ის 0-დან 1-მდე აჩვენებს, როგორც უნარს, ასევე დემოკრატიას; თითოეულ განზომილებაში 0 წარმოადგენს ისტორიაში ოდესმე დაფიქსირებულ ყველაზე დაბალ დონეს, 1 უმაღლესს. დიაგრამის ქვედა მარცხენა კუთხე აერთიანებს დაბალ სამთავრობო უნარებს მცირე დემოკრატიასთან. ჩვენ შეგვიძლია ამ ზონას ფრაგმენტული ტირანია ვუწოდოთ, რადგან ასეთ რეჟიმში საველე მეთაურები, ბანდიტები და სხვა პოლიტიკური მტაცებლები, როგორც წესი, ნომინალურ მმართველებთან შეთანხმებით ან მათ წინააღმდეგ მანევრირებენ.

დიაგრამის ზედა მარცხენა მხარე მოიცავს ავტორიტარიზმის ზონას: ძალიან მაღალი სამთავრობო უნარები შერწყმულია მცირე დემოკრატიასთან ან საერთოდ არარსებობასთან. ზედა მარჯვენა კუთხე შეიცავს მოქალაქეობას, რომელშიც სახელმწიფო აგენტები მოსახლეობის მთელ კატეგორიებისადმი ანგარიშვალდებულები არიან შედარებით ფართო და თანაბარი უფლებებითა თუ მოვალეობებით. თუმცა, მოქალაქეობა ემთხვევა ავტორიტარიზმს, რადგან ზოგიერთ რეჟიმში მოქალაქეობის ფართო და თანაბარი უფლებები და მოვალეობები შეწყვილებულია, როგორც მთავრობაზე რეალური სახალხო კონტროლის ნაკლებობასთან ან საერთოდ არარსებობასთან, ისე თვითნებური სამთავრობო ქმედებებისგან მინიმალური დაცვის არარსებობასთან. ეს რეჟიმები ამკვიდრებენ, არა დემოკრატიას, არამედ ავტორიტარულ მოქალაქეობას.

მთლიანობაში, ყველა კოლექტიური ძალადობის პროპორცია, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობენ სამთავრობო აგენტები, იზრდება მთავრობის უნარებთან ერთად; სურათში 2.1 ის უფრო მაღალია

ზემოთ, ვიდრე ქვემოთ. (მე არ ვსაუბრობ კოლექტიური ძალადობის რაოდენობაზე, მაგალითად, ძალადობრივი შეტაკებების შედეგად სიკვდილიანობაზე, არამედ ყველა იმ ძალადობრივი შეტაკების წილზე, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობენ ჯარები, პოლიცია, ოფიციალური პირები და სხვა სამთავრობო აგენტები. ძალადობის ზოგად დონეს მოგვიანებით დავუბრუნდებით- ავტ შენიშვნა) პროპორცია იზრდება რამდენიმე მიზეზის გამო:

- რადგან უფრო მაღალი უნარების მქონე მთავრობები აკონტროლებენ ყველა პრეტენზიის წარმომშობი ურთიერთქმედების უფრო დიდ პროპორციებს და შემდეგ ერევიან (ზოგჯერ ძალადობრივი შედეგებით) იმ ურთიერთქმედებებში, რომლებსაც მათი აგენტები არ ეთანხმებიან;

- რადგან უფრო მაღალი უნარების რეჟიმები განსაკუთრებულად მჭიდროდ აკონტროლებენ იმ პოლიტიკურ ურთიერთქმედებებს, რომლებშიც ძალადობის არასამთავრობო სპეციალისტები მონაწილეობენ;

- რადგან უფრო მაღალი უნარების რეჟიმები ზრდიან სავარაუდო ფასს არასამთავრობო აქტორებისთვის, რომ გამოიყენონ ძალადობრივი საშუალებები თავიანთი პრეტენზიების წასაყენებლად;

- რადგან უფრო მაღალი უნარების მთავრობები აფართოებენ თავიანთ წილს ყველა არსებული ძალადობრივი საშუალებების მიმართ და თავს ესხმიან ასეთი საშუალებების დამოუკიდებელ კონცენტრაციას; და

- რადგან უფრო მაღალი უნარების რეჟიმები სხვებს მასშტაბურ მოთხოვნებს უყენებენ და ამ მოთხოვნებს ზიანის მიყენების მუქარით ამყარებენ.

არსებობს მცირე ტენდენცია საპირისპირო მიმართულებითაც: ძალადობის ფორმებს, რომლებსაც ხელისუფლებები ტერორიზმს უწოდებენ, ასევე მაღალი უნარების რეჟიმებშია კონცენტრირებული. როდესაც ორგანიზებული, მაგრამ გარიყული პოლიტიკური აქტორები მაღალი უნარების რეჟიმების წინაშე დგანან, ისინი ხშირად მიწისქვეშა კომუნიკაციის გარკვეულ კომბინაციას ირჩევენ ფარულ ფიზიკურ თავდასხმებს მათი მმართველების ან მტრების პირებზე და ქონებაზე. ეს კონტრტენდენცია ახლოსაც ვერ მივა კოლექტიურ ძალადობაში სამთავრობო აგენტების უშუალო ჩართულობით სამთავრობო უნარების საერთო კორელაციის შებრუნებასთან.

რა ხდება დემოკრატიის შემთხვევაში? ორი ძირითადი პირობის გამოკლებით, კოლექტიური ძალადობა ზოგადად მცირდება დემოკრატიზაციასთან ერთად. დემოკრატიული რეჟიმები, საშუალოდ, ნაკლებ კოლექტიურ ძალადობას ატარებენ, ვიდრე არადემოკრატიული რეჟიმები. პოლიტიკური მონაწილეობის განვრცობა, პოლიტიკური უფლებების გაფართოება და გათანასწორება, პრეტენზიების წარმოდგენის არაძალადობრივი საშუალებების ნორმალიზება და დავების ძალადობრივი გადაწყვეტის წინააღმდეგ მესამე მხარეთა ჩარევისთვის მზაობის ზრდა, — ეს ყველაფერი აფერხებს ძალადობრივ პაექრობას.

აღსანიშნავია, რომ აქ შემოდის ორი პირობა. პირველი, თავად დემოკრატიული მთავრობები ხშირად მიმართავენ ძალადობას თავიანთი გარე მტრების, ისევე, როგორც მათი იურისდიქციის ფარგლებში

გამორიცხული პოლიტიკური აქტორებისა და მოსახლეობის კატეგორიების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთაშორისი ომი, სადამსჯელო დაკავება და პოლიციის შერჩევითი სისასტიკე შეიძლება გაქრეს იდეალურ სრულ დემოკრატიაში, არცერთი მათგანი არ ქრება რეალურად არსებული დემოკრატიზაციის პირობებში (Chevigny 1999; Davenport 2000; Geller & Singer 1998; Gowa 1999; Huggins 1998; della Porta 1999;). დემოკრატიულმა შეერთებულმა შტატებმა, ბოლოსდაბოლოს, მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელი ამერიკელები საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდია (Kotek & Rigoulot 2000).

მეორე, დემოკრატიზაციის გზაზე, ბრძოლები გარკვეული ხნით ხშირად *უფრო* ძალადობრივი ხდება, რადგან იზრდება ფსონები იმაზე, თუ ვინ მოიგებს ან წააგებს დემოკრატიული ინსტიტუტებით. დემოკრატიზაციის სწრაფი გაძლიერება ხშირად მოჰყვება ხოლმე ძალადობრივ სახელმწიფოთაშორის ომებს, სამოქალაქო ომებს და რევოლუციებს; ასეთ შემთხვევებს შორისაა შვეიცარიის ნაწილობრივი დემოკრატიზაცია 1847 წლის ზონდერბუნდის სამოქალაქო ომის მერე, შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის შემდეგ, საფრანგეთის 1871 წლის კომუნის შემდეგ და იაპონიის და გერმანიის მეორე მსოფლიო ომის მერე. ბრძოლა წინ უსწრებს და თან ახლავს დემოკრატიზაციას.

პოლიტიკური ურთიერთქმედება სხვადასხვა ტიპის რეჟიმებში

რეჟიმის კონტროლი პრეტენზიების წაყენებაზე ძლიერ გავლენას ახდენს კოლექტიურ ძალადობაზე, თუნდაც ირიბად. სამთავრობო აგენტები, პოლიტიკოსები, ოპონენტები და სუბიექტები სხვადასხვა გზით ურთიერთობენ, რომელთა უმეტესობა არ გულისხმობს პრეტენზიების წაყენებას. ადამიანები იხდიან გადასახადებს, ყიდულობენ მომსახურებას, ასრულებენ სამხედრო მოვალეობებს, მონაწილეობენ აღწერებში, იღებენ პენსიებს და საერთო ჯამში, მთავრობებთან ძირითადად პაექრობაში ჩართვის გარეშე ურთიერთობენ — წყვეტილი, საჯარო, კოლექტიური პრეტენზიების წაყენების გარეშე. ზოგჯერ პოლიტიკური აქტორები ერთმანეთს პაექრულ პრეტენზიებს უყენებენ. ხანდახან ეს პრეტენზიები მოიცავს პირებისთვის ან ქონებისთვის ზიანის მიყენებას. ამ დროს, ურთიერთქმედება ხდება ნაწილი იმისა, რა საკითხის ახსნასაც ვცდილობთ.

შეგვიძლია კოლექტიური პრეტენზიების წაყენება ინტერაქტიულ პერფორმანსად წარმოვიდგინოთ, თეატრალური დასის ვეტერანი წევრების მსგავსად, პოლიტიკური მსახიობები ზოგადი სცენარის მონახაზებს შესაძლო გაუთვალისწინებელი შედეგების შუქზე მიჰყვებიან, როდესაც ისინი ვაჭრობენ დემონსტრანტებთან, მოკრძალებულ პეტიციებთან, საარჩევნო კამპანიებთან, მტრების განდევნაზე, მძევლების აყვანაზე, ურბანულ აჯანყებებზე და პაექრობის სხვა ფორმებზე. ასეთი პერფორმანსები აკავშირებს წყვილებს ან მსახიობთა უფრო დიდ დასს; უმარტივესი წყვილი არის ერთი პრეტენზიის წამყენებელი და ერთი პრეტენზიის ობიექტი. აქტორებს შორის ხშირად არიან სამთავრობო აგენტები, პოლიტიკოსები და ოპონენტებიც. ოპონენტები ზოგჯერ ახლად მობილიზებულები გახლავთ რეჟიმის მანამდე არამობილიზებული სუბიექტი მოსახლეობისგან. ნებისმიერ კონკრეტულ რეჟიმში, მსახიობთა წყვილებს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სპექტაკლები აქვთ. შეგვიძლია სპექტაკლების ამ ნაკრებს მათი *პაექრობის რეპერტუარი* ვუწოდოთ.

მაგალითად, 1750-იანი წლების დიდ ბრიტანეთში, პაექრობის რეპერტუარი, რომელიც ფართოდ იყო ხელმისაწვდომი, ჩვეულებრივი ხალხისთვის, მოიცავდა შემდეგს:

- *თავდასხმებს ძალისმიერ ხელისუფლებაზე*: პატიმრების გათავისუფლებას, წინააღმდეგობას პოლიციის ჩარევაზე შეკრებებსა და გართობებში, ფლოტში იძულებითი გაწვევის წინააღმდეგ, ბრძოლებს მონადირეებსა და მეცხოველეებს შორის, ბრძოლებს კონტრაბანდისტებსა და სამეფო ოფიცრებს შორის, წინააღმდეგობას იძულებით გამოსახლებასთან, სამხედრო ამბოხებებს;
- *თავდასხმებს სახალხოდ მიჩნეულ დანაშაულებებზე და დამნაშავეებზე*: უხეშ მუსიკაზე; საჯარო პირებისა და ზნეობრივი დამნაშავეების სიმბოლოების, ფიგურების ან/და ქონების დაცინვაზე ან/და განადგურებაზე; სიტყვიერ და ფიზიკურ თავდასხმებს ბოროტმოქმედებზე, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში ჩანდნენ; საშიში ან შეურაცხმყოფელი სახლების, მათ შორის სამუშაო სახლებისა და ბორდელების დანგრევას და/ან გაძარცვას; მაღაზიებისა და ბარების განადგურებას, რომელთა მესაკუთრეებს ბრალად ედებოდათ უსამართლო გარიგება ან საზოგადოებრივი ზნეობის დარღვევა; საკვების კოლექტიურ ჩამორთმევას, რომელსაც ხშირად თან ახლავს ვაჭრის შენობის გაძარცვა და/ან მისი სურსათის საჯარო გაყიდვა მიმდინარე საბაზრო ფასზე იაფად; საკვების გადაზიდვის ბლოკირება ან დივერსია; ფასიანი გზების განადგურება; კოლექტიური შემოჭრები შემოსაზღვრულ მიწებზე, რასაც ხშირად თან ახლდა ღობეების ან ზღუდეების განადგურება;
- *სადღესასწაულო ღონისძიებებს და სხვა სახალხო შეკრებებს*: კოლექტიური გულშემატკივრობა, დაცინვა ან ჩაქოლვა საჯარო პირების ან მათი სატრანსპორტო საშუალებების; ხალხის წამოწყებულ დიდ საჯარო ზეიმებში (მაგ., ჯონ უილკსის არჩევნები 1760-იან წლებში) მხიარულებით, სასმელით, ანტაგონისტური სიმბოლოების ჩვენებით, ფეიერვერკებით და ზოგჯერ უხალისო პირების იძულებითი მონაწილეობა; იძულებითი განათება, მათ შორის თავდასხმები შინამეურნეობების ფანჯრებზე, რომლებიც ვერ ანათებდნენ, ასევე დაჯგუფებების ბრძოლები (მაგ., ირლანდიელები ინგლისელების წინააღმდეგ, სამხედროების დაპირისპირებული ჯგუფები);
- *მუშების სანქციებს მათი პროფესიის წარმომადგენლების წინააღმდეგ*: მუშების აქციები ადგილობრივ სავაჭრო მაღაზიებში; სავაჭრო დავების დროს მუშათა მარშები საჯარო ხელისუფლებისაკენ; ვირზე შესმა ან სხვაგვარი დამცირება იმ მუშების, რომლებმაც დაარღვიეს კოლექტიური ხელშეკრულებები, ასევე იმ მუშების ან ოსტატების საქონლის განადგურება (მაგ., აბრეშუმის საქსოვი დაზგების და/ან თავად ძაფების), რომლებიც არღვევენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს;
- *უფლებამოსილი საჯარო ასამბლეების ფარგლებში პრეტენზიების წაყენება* (მაგ., ლორდ მერის დღე): პოზიციების დაკავება მხიარულების, ხუმრობის, თავდასხმებისა და სიმბოლოების ჩვენების გზით, თავდასხმები საარჩევნო კანდიდატების მხარდამჭერებზე, კანდიდატების ჩამოტარება და გააღლუმება, საჯარო სიკვდილით დასჯის დროს მხარის დაკავება, თავდასხმები ან მხარდამჭერის გამოცხადება ტყვეობაში მყოფი პატიმრებისთვის, საჯარო პირების (მაგ. სამეფო კარის) მისალმება ან დამცირება თეატრში, კოლექტიური რეაგირება სტრიქონებსა და პერსონაჟებზე სპექტაკლებში ან სხვა გართობებში, არადამაკმაყოფილებელი სპექტაკლების გამო თეატრების დაშლა (Tilly: 1995).

ყველა ბრიტანელ პრეტენზიის წამყენებელს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა წვდომა სრულად ამ პერფორმანსზე; ზოგიერთი პერფორმანსი მუშებს ოსტატებთან აკავშირებდა, სხვები ბაზრის მუდმივ სტუმრებს ადგილობრივ ვაჭრებთან და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში, 1750-იან წლებში რიგითი ბრიტანელებისთვის ხელმისაწვდომი რეპერტუარი არ მოიცავდა საარჩევნო კამპანიებს, ოფიციალურ საჯარო შეხვედრებს, ქუჩის მარშებს, დემონსტრაციებს, პეტიციების შეგროვებას ან სპეციალური

ინტერესების მქონე ასოციაციების ჩამოყალიბებას, რაც საკმაოდ გავრცელებული მექანიზმი გახდა მეცხრამეტე საუკუნეში პრეტენზიების წასაყენებლად. როგორც კი აღნიშნული ახალი პერფორმანსები გავრცელდა, უფრო ძველი პეფორმანსები გაქრა.

ჩნდება კითხვა: როგორ აყალიბებენ რეპერტუარები პაექრულ პოლიტიკებს? პირველ რიგში, ისინი იძლევიან სავარაუდო სცენარებს და არჩევანს სცენარებს შორის პოლიტიკური ურთიერთქმედებისთვის. ხელმისაწვდომი სცენარებით ყველა მხარეს შეუძლია უფრო ეფექტური კოორდინაცია გაუწიოს თავიანთ მოქმედებებს, განჭვრიტონ სხვადასხვა რეაქციის სავარაუდო შედეგები და შექმნან სადავო ეპიზოდების შეთანხმებული მნიშვნელობები. მათ შეუძლიათ ამ მნიშვნელობების კონსტრუირება, როგორც პროცესში, ასევე ფაქტის შემდეგ, - მიუხედავად იმისა, რომ ეს ეპიზოდი დაიწყო, როგორც თავდასხმა ზნეობრივ დამნაშავეზე (დამქირავებელზე), ის ყრილობის სახით დასრულდა, მეორე ეპიზოდი დაიწყო, როგორც სახალხო ზეიმი და დასრულდა, როგორც შიდა დაპირისპირება.

გადართვის [switching] შესაძლებლობა გვაფრთხილებს იმ ფაქტზე, რომ პერფორმანსები ერთმანეთის სიახლოვის მიხედვით განსხვავდებიან — სიახლოვე ადგილმდებარეობის, მონაწილეებისა და მოქმედების ტიპების მიხედვით. მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში, ბრიტანეთში საკვების კოლექტიური ჩამორთმევა ყრილობებად მხოლოდ დიდი სირთულეებით გადაიზარდებოდა ხოლმე, მაგრამ ისინი ადვილად გადაიზრდებოდნენ სახალხო თავდასხმებად ზნეობრივ დამნაშავეებზე, ასეთებად კი მეძვირე მცხობლები და შემგროვებელი ვაჭრები მიიჩნეოდნენ (ქალები ხშირად თამაშობდნენ წამყვან როლებს ასეთ ეპიზოდებში; ისინი სპეციალიზირებულნი იყვნენ ზნეობრივად დატვირთული საზღვრების, ისტორიებისა და ურთიერთობების გააქტიურებაში - ავტ შენიშვნა) ამრიგად, რეპერტუარები იძლევა თარგებს ურთიერთქმედებისთვის, საფუძვლებს კოლექტიური მეხსიერებისთვის და გადამრთველ კვანძებს კოლექტიური ბრძოლებისთვის.

პრეტენზიების წამყენებელთა შორის ურთიერთქმედება, მათ შორის სამთავრობო აგენტების, იწვევს დიდ ცვლილებებს პაექრულ რეპერტუარებში. სხვადასხვა დროს თავად მთავრობები განსხვავებულად რეაგირებენ სხვადასხვა პრეტენზიის წამყენებელ პერფორმანსებზე, რომლებიც ამჟამად ხელმისაწვდომია მოდავეებისთვის. ჩვენ შეგვიძლია ძალიან ზოგადად ერთმანეთისგან განვასხვავოთ პერფორმანსები, რომლებსაც მთავრობები ახალისებენ, იწყნარებენ და კრძალავენ. *წახალისებული* პერფორმანსები, როგორც წესი, მოიცავს ერთგულების ცერემონიებს (მაგ., ეროვნული ჰიმნების შესრულებას) და სამთავრობო კონტროლისთვის რესურსების გადაცემას (მაგ., გადასახადების ფულს და წვევამდელებს). *შეწყნარებული* პერფორმანსები ძალიან განსხვავდება რეჟიმიდან რეჟიმამდე, მაგრამ ისინი, როგორც წესი, მოიცავს იურიდიული პრეტენზიების წაყენებას და ზნეობრივ დამნაშავეებზე ორგანიზებულ რეაგირებებს. *აკრძალული* პერფორმანსები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება რეჟიმიდან რეჟიმამდე, მაგრამ ყოველთვის მოიცავს ძალადობრივ თავდასხმებს მმართველებსა და სამთავრობო რესურსებზე. წახალისებულის, შეწყნარებულის და აკრძალულის პერფორმანსები განსხვავებულია პოლიტიკურ აქტორებს შორისაც; ძლიერ აქტორებს, როგორც წესი, შეუძლიათ თავს ისეთი პერფორმანსების შესრულების უფლება მისცენ, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნის მცირე აქტორებს.

ამ ფართო კატეგორიებზე დაყრდნობით, დიაგრამა 2.2 წარმოადგენს არგუმენტს მთავრობების რეაგირებისა და პაექრული პოლიტიკის ურთიერთობაზე. ეს ურთიერთობა დანახულია სამთავრობო

უნარებისა და დემოკრატიის დონის განსხვავებების მიხედვით. გახსოვდეთ, რომ უნარები და დემოკრატია ეხება რეჟიმს, რომელიც განსაზღვრულია ქვეყნის ეროვნული მთავრობის მიერ და არა მასში შემავალი სხვა ქვემთავრობების მიერ. ფიგურაში თითოეული ტიპის მაგალითები შეიძლება შეიცავდეს:

მაღალუნარიანი არადემოკრატიული – ჩინეთი, ირანი;
დაბალუნარიანი არადემოკრატიული - სომალი, კონგო (კინშასა, ყოფილი ზაირი);
მაღალუნარიანი დემოკრატიული – გერმანია, იაპონია;
დაბალუნარიანი დემოკრატიული – ბელგია, იამაიკა.



დიაგრამა 2: პოლიტიკური ინტერაქციების კონფიგურაცია სხვადასხვა ტიპის რეჟიმებში

თითოეულ შემთხვევაში, დიაგრამა 2.2-ის დიდი ოვალი წარმოადგენს ყველა იმ ურთიერთქმედებას, იქნება ეს პრეტენზიის წაყენება თუ ძალადობრივი ან არაძალადობრივი ინტერაქცია, რომელშიც

მთავრობის იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ნებისმიერი პოლიტიკურ აქტორთა წყვილი მონაწილეობს. შემდეგ ის მიახლოებით გვაჩვენებს მთავრობების მიერ დადგენილ ინტერაქციათა დიაპაზონს, რაც წარმოადგენს იმის ალბათობას, რომ ავტორიტარული (მაღალი უნარების არადემოკრატიული) რეჟიმები პერფორმანსების უფრო ფართო სპექტრის წარმოშობას უწყობენ ხელს, ვიდრე სხვა რეჟიმები. იგი ამტკიცებს, რომ შეწყნარებული პერფორმანსების დიაპაზონი დემოკრატიასთან ერთად იზრდება, მაგრამ მცირდება სამთავრობო უნარებთან ერთად.

დემოკრატია აფართოებს პოლიტიკურ აქტორებს შორის მისაღები ურთიერთქმედებების დიაპაზონს. ამას ძირითადად იმიტომ აკეთებს, რომ ყოველ ახლადჩამოყალიბებულ პოლიტიკურ აქტორს პოლიტიკურ ასპარეზზე შემოაქვს სოციალური კავშირების თავისებური კომპლექტი და მათგან ზოგიერთს მაინც ინარჩუნებს. თუმცა, მაღალუნარიანი რეჟიმები ურთიერთქმედებებს უფრო ვიწრო დიაპაზონში ატარებენ, ვიდრე დაბალუნარიანი რეჟიმები, — ორივე იმიტომ რომ სამთავრობო აგენტებს უფრო მეტი კონტროლი აქვთ ყველა ურთიერთქმედებაზე, ასევე იმის გამო, რომ დომინანტური ჯგუფები თანამშრომლობენ მთავრობებთან, რათა თავიანთი ბეჭედი დაასვან საზოგადოებაში ურთიერთობის მისაღებ და მიუღებელ ფორმებს. დიდ ბრიტანეთში ინდუსტრიული ბურჟუაზიის ამ მზარდად მაღალუნარიანი რეჟიმის საჯარო პოლიტიკაში ინკორპორირება დაახლოებით 1832 წლის რეფორმის აქტით შეგვიძლია დავათარიღოთ. ბურჟუაზიის გაძლიერებამ ბრიტანეთის საჯარო პოლიტიკაში გაზარდა კოლექტიური მოქმედების მათთვის ხელსაყრელი საშუალებების მნიშვნელობა (სპეციალური დანიშნულების ასოციაციებისა და მათზე დაფუძნებული კამპანიების მეშვეობით), ხოლო პირდაპირი მოქმედების ძველი ფორმები უფრო სარისკო და ნაკლებად ეფექტური გახდა. ადრე შეწყნარებული მრავალფეროვანი პოლიტიკური პერფორმანსები აიკრძალა.

დიაგრამა 2.2 გრძელდება *პაექრული* ურთიერთქმედების სხვა ფორმებთან დაკავშირებით. იგი აერთიანებს იდეას, რომ ნებისმიერ რეალურ რეჟიმში, პაექრული პერფორმანსების რეპერტუარი მნიშვნელოვნად ვიწროა, ვიდრე პოლიტიკურ აქტორებს შორის ურთიერთქმედების სრული დიაპაზონი და როგორც წესი, უფრო მცირეა, ვიდრე შეწყნარებული ურთიერთქმედების დიაპაზონი. მთავრობისთვის მისაღები რიგი ურთიერთქმედებები ხდება წყვეტილი, საჯარო, კოლექტიური პრეტენზიების წაყენების გარეშე, მაგრამ ეს რეჟიმის ტიპის მიხედვით განსხვავდება. დაბალუნარიანი რეჟიმები პაექრული ურთიერთქმედებების უფრო ფართო სპექტრს ხვდებიან, რადგან მათ სამთავრობო აგენტებს არ გააჩნიათ პრეტენზიების წაყენების კონტროლის საშუალებები და ასევე იმიტომ, რომ მათი საჯარო პოლიტიკა მოიცავს აქტორებს შორის უფრო ცვალებად და კონკრეტულ ურთიერთობებს.

არადემოკრატიული რეჟიმები ართულებენ ვინმეს პაექრული პრეტენზიების წაყენებას წახალისებული პერფორმანსების განმავლობაში, სადაც ადამიანები უშუალოდ ხელისუფლების თვალწინ მოქმედებენ; ერთეული მკვლელობები ან ჯანყისკენ მოწოდებები, რომელიც ზოგჯერ საზეიმო სამეფო ცერემონიების დროს ხდება, გამონაკლისია და წესს ადასტურებს (გამონაკლისი წესს ადასტურებს, რადგან არადემოკრატიული რეჟიმების წახალისებულ პერფორმანსებში იშვიათი პრეტენზიის წამყენებლები ძნელად თუ რჩებიან მთელები - ავტ.შენიშვნა). დემოკრატიული რეჟიმების პირობებში, პაექრული პრეტენზიები ზოგჯერ დადგენილი პერფორმანსების მსვლელობისას ჩნდება, ყალიბდება შეწყნარებული პერფორმანსების ფართო სპექტრში და გადაიზრდება აკრძალულ პერფორმანსებში, მათ შორის კოლექტიური ძალადობის ძირითად ფორმებში.

რას ნიშნავს ეს სხვადასხვა ტიპის რეჟიმებისთვის? *დაბალუნარიანი არადემოკრატიული რეჟიმები*, როგორც დიაგრამა 2.2-შია ნაჩვენები, იწყნარებენ პერფორმანსების შედარებით ფართო სპექტრს მათი პოლიციური ძალების ნაკლებობის გამო; ისინი კონცენტრირებულნი არიან წახალისებული პერფორმანსების კონტროლზე და აკრძალული პერფორმანსების თვალსაჩინო საჯარო დასჯაზე, როცა შემსრულებლების დაჭერა შეუძლიათ. შედეგად, არგუმენტის თანახმად, პაექრული პოლიტიკა ასეთ რეჟიმებში ძირითადად წახალისებული პერფორმანსების მიღმა ხდება, მაგრამ შეწყნარებული და აკრძალული პერფორმანსების შეზღუდულ დიაპაზონზეც ვრცელდება, რომელთაგან ბევრი რეჟიმის ნომინალურ იურისდიქციაში არსებული ძალაუფლების ნაწილობრივ ავტონომიურ ცენტრებზეა ორიენტირებული. ეს განზოგადებები უნდა მოერგოს კონგო-კინშასას, სომალის და მათ მსგავსს რეჟიმებს.

ამის საპირისპიროდ, *დაბალუნარიანი დემოკრატიული რეჟიმები* იწყნარებენ პერფორმანსების კიდევ უფრო ფართო სპექტრს და კრძალავენ შედარებით ცოტას. ასეთ რეჟიმებში, დიაგრამა 2.2-ის მიხედვით, პაექრობა თავს იჩენს წახალისებული პერფორმანსების დროს (მაგ., გადასახადებისა და გაწვევისთვის წინააღმდეგობის გაწევისას), შეწყნარებული დიაპაზონის უმეტესს ნაწილში და აკრძალული პრეტენზიების წაყენების ზონაში. მთავრობის მიერ უფლებების დასაცავად, ვალდებულებების აღსასრულებლად და კონფლიქტების შესაკავებლად მექანიზმების არარსებობა, არგუმენტის თანახმად, იწვევს კოლექტიურ ძალისხმევაში აქტორთა ფართო სპექტრის ჩართვას, რათა საკუთარი საშუალებებით მოახდინონ თავიანთი ინტერესების რეალიზება. ეს განზოგადებები უნდა ერგებოდეს ბელგიას, იამაიკას და მათ მსგავს რეჟიმებს.

მაღალუნარიანი დემოკრატიული რეჟიმები საკმაოდ განსხვავებულად მოქმედებენ. ისინი აწესებენ შედარებით მცირე რაოდენობის წახალისებულ პერფორმანსებს, მაგრამ მათ მკაცრად ახორციელებენ. ისინი ამისამართებენ პრეტენზიების წაყენების იმპულსს შეწყნარებული პერფორმანსების მოკრძალებულ ჯგუფში და კრძალავენ ფიზიკურად შესაძლო პრეტენზიების წაყენების ფორმათა ფართო სპექტრს. შედეგად, მე ვამტკიცებ, რომ პაექრული პოლიტიკა დროდადრო შედის წახალისებულ პერფორმანსებში (მაგ., გაწვევისადმი წინააღმდეგობის გაწევით), ჩვეულებრივ ხდება ხოლმე შეწყნარებულ პერფორმანსებში (მაგ., საჯარო დემონსტრაციებში), მაგრამ ზოგჯერ სესხულობს აკრძალულ ფორმებსაც კი (მაგ., ფარული თავდასხმები მთავრობის საკუთრებაზე). ეს განზოგადებები უნდა მოერგოს გერმანიას, იაპონიას და მათ მსგავს რეჟიმებს.

დაბოლოს, *მაღალუნარიანი არადემოკრატიული რეჟიმები* ახალისებენ პრეტენზიების წაყენების პერფორმანსების განსაკუთრებულად ფართო სპექტრს, ტოვებენ შეწყნარებული პერფორმანსების ძალიან ვიწრო დიაპაზონს და კრძალავენ ბევრ (თუ არა უმეტესს) ტექნიკურად შესაძლო პერფორმანსებს. ფართომასშტაბიანი თვალთვალისა და რეპრესიების შედეგია პაექრული პოლიტიკის ფარგლების მინიმუმამდე შემცირება, მაგრამ ასევე მისი უმეტესი ნაწილის აკრძალულ დიაპაზონში გადაყვანა. ხდება დარჩენილი რამდენიმე შეწყნარებული პერფორმანსის ფართოდ გამოყენება, მაგრამ კოლექტიური პრეტენზიების წამყენებლები მუდმივად არიან მათი საქმიანობის აღკვეთის და/ან შურისძიების რისკის ქვეშ. ეს განზოგადება უნდა მოერგოს ჩინეთს, ირანს და მათ მსგავსს რეჟიმებს.

რეჟიმები და ძალადობა

დავუშვათ, რომ ეს არგუმენტები ზოგადად პაექრული პოლიტიკის შესახებ სწორია. როგორ შეგვიძლია აქედან კოლექტიური ძალადობის ვარიაციების ახსნაზე გადავიდეთ? ოთხ ღერძს შორის შეგვიძლია იმპროვიზირებული ხიდი გავდოთ. პირველი, რეჟიმის ფარგლებში წახალისებული და შეწყნარებული პერფორმანსების მოდელები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ძალადობრივი პრეტენზიების წაყენების ადგილებზე. ნებისმიერი სახის რეჟიმში, კოლექტიური ძალადობის მნიშვნელოვანი წილი იწყება პრეტენზიის წაყენებით, რომელიც თავში არაა ძალადობრივი; ჯარისკაცები ესვრიან მშვიდობიან დემონსტრანტებს, არაძალადობრივი დემონსტრანტები იწყებენ ფანჯრების მსხვრევას, დაპირისპირებული რელიგიური მსვლელობის მონაწილეები იწყებენ ერთმანეთის შეურაცხყოფას და ა.შ. აქედან გამომდინარე, არსებობს ზოგადი შესაბამისობა არაძალადობრივი და ძალადობრივი პრეტენზიების წაყენების შემთხვევებს შორის. მაგალითად, მაღალუნარიან *არადემოკრატიულ* რეჟიმებში, ჩვენ უნდა ველოდოთ კოლექტიური ძალადობის მაღალ წილს, რომელიც აკრძალული პერფორმანსებით იწყება. ამის საპირისპიროდ, მაღალუნარიან *დემოკრატიულ* რეჟიმებში, ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ყველაზე მეტი ძალადობა წარმოიშვება შეწყნარებულ პერფორმანსებში.

მეორე, ბევრ რეჟიმში შეწყნარებული რეპერტუარის გარკვეული პერფორმანსები — აშკარად ძალადობრივი რიტუალები და კოორდინირებული დესტრუქციის ზოგიერთი ფორმა, პირდაპირ იწვევს ადამიანების ან საგნების დაზიანებას. ზემოთ განხილული 1750-იანი წლების ბრიტანული პერფორმანსების მნიშვნელოვან ნაწილში ჩაშენებული იყო მცირემასშტაბიანი ძალადობა.

მესამე, რეჟიმები, რომლებიც რადიკალურად ავიწროებენ შეწყნარებული პერფორმანსების დიაპაზონს, რაც გულისხმობს განსაკუთრებით მაღალუნარიან არადემოკრატიულ რეჟიმებს — მომჩივანებს, რომლებმაც შეინარჩუნეს საკუთარი ძალები, უბიძგებს ერთობლივად იმოქმედონ აკრძალული პერფორმანსების მეშვეობით. ამრიგად, ასეთ განვითარებას ძალადობრივი შედეგები მოჰყვება ხოლმე.

მეოთხე, წახალისებული, შეწყნარებული და აკრძალული პერფორმანსების განსხვავებული კონფიგურაციები გავლენას ახდენს ძალადობის ფორმების ხელშემწყობი პირობების სავარაუდო გავრცელებაზე, რომელშიც დამაზიანებელი ქმედებები მნიშვნელოვან და არაპერიფერიულ როლს თამაშობს, მოძალადე აქტორებს შორის მაღალი კოორდინაციის დონეა ან ორივე ერთად. როგორც შემდგომ თავებში დეტალურად იქნება ნაჩვენები, *მნიშვნელოვნობა [salience]*, როგორც წესი, იზრდება, როდესაც (ა) პოლიტიკური ურთიერთობის მონაწილეები თავად არიან ძალადობის სპეციალისტები, (ბ) იზრდება გაურკვევლობა ურთიერთქმედების შედეგთან დაკავშირებით, (გ) შედეგებთან მიმართებით იზრდება მხარეთა ფსონები და (დ) არ არიან მესამე პირები, რომლებთანაც მონაწილეებს აქვთ სტაბილური ურთიერთობა. სხვადასხვა პოლიტიკური იდენტობის (ანუ საერთო საზღვრების, ისტორიების და სოციალური ურთიერთობების) გააქტიურება და ჩახშობა პირდაპირ გავლენას ახდენს (ა)-დან (დ)-მდე პირობებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა პოლიტიკური იდენტობის გააქტიურებისა და ჩახშობის სიმარტივე, თავის მხრივ, დამოკიდებულია რეჟიმის მიერ წახალისებული, შეწყნარებული და აკრძალული პერფორმანსების სპექტრზე. ზოგიერთი რეჟიმი, მაგალითად, უადვილებს საგვარეულოების წარმომადგენლებს (მათ შორის საგვარეულოს წარმომადგენელ ქალებს) მათ საჯარო მოქმედებას, მაგრამ თითქმის შეუძლებელს ხდის მათ, როგორც ქალების წარმომადგენლებად საჯაროდ მოქმედებას.

ძალადობრივ აქტორებს შორის კოორდინაციის დონე იზრდება, რადგან (ე) პოლიტიკური საქმოსნები ქმნიან კავშირებს ადრე დამოუკიდებელ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, (ვ) ხელისუფლება

აკონტროლებს მონაწილეთათვის შედეგების ფასს — ჯილდოსაც და სასჯელსაც, (ზ) მონაწილეთა ძირითადი ბლოკების დამყოფი კატეგორიები (მაგ. სქესი, რასა ან ეროვნება) ფართოდ ფიგურირებს რუტინულ სოციალურ ცხოვრებაში და (თ) მთავარი მონაწილეები ძალადობრივი მოვლენების მიღმა ორგანიზდებიან და იწვრთნებიან. ინკორპორაცია და განცალკევება ძლიერ გავლენას ახდენს (ე)-დან (თ)-ის ჩათვლით პირობებზე.

პროცესები (ა)-დან (თ)-მდე ზუსტად არ ემთხვევა სხვადასხვა ტიპის რეჟიმებს; თუმცა დაბალუნარიან რეჟიმებში საშუალოდ გაურკვევლობა უფრო მაღალია, ეს განზოგადებაც კი უგულებელყოფს იმას, რომ კატასტროფები და სამხედრო მარცხები მაღალუნარიან რეჟიმებს მოწყვლადს ხდის თავდასხმის მიმართ. წახალისებული, შეწყნარებული და აკრძალული პერფორმანსების კონფიგურაციები ნამდვილად ახდენს ზეგავლენას (ა)-დან (თ)-მდე პროცესებზე; დაბალუნარიანი არადემოკრატიული რეჟიმების ტენდენციას აკრძალული პერფორმანსები არასრულად და არაპროგნოზირებულად ჩაახშონ, მაგალითად, ზრდის ძალადობის მნიშვნელობას პაექრულ ურთიერთქმედებებში. როგორც აკრძალული პერფორმერები, ისე მოძალადე სპეციალისტები უფრო მყისიერად მიმართავენ ერთმანეთისთვის ზიანის მიყენების გზას, ვიდრე სხვა რეჟიმებში. მაშასადამე, დიაგრამა 2.2-ის არგუმენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეჟიმის კოლექტიური ძალადობის მასშტაბზე და იმაზე, ვინ ჩაერთვება მასში. მთავრობის მიერ წამოწყებულ ომს თუ გვერდით გადავდებთ, ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ ძალადობის საერთო დონე უფრო მაღალი იქნება დაბალუნარიან დემოკრატიულ თუ არადემოკრატიულ რეჟიმებში. ჩვენ ასევე უნდა ველოდოთ, რომ დემოკრატია დათრგუნავს ძალადობას შიდა პოლიტიკაში, თუ მთავრობებს შორის ურთიერთობებში არა. ამგვარად, კოლექტიური ძალადობის დონეებზე საერთო გავლენა სახელმწიფოებში ასე გამოიყურება:

მაღალი ძალადობა — დაბალუნარიანი არადემოკრატიული რეჟიმები;

საშუალო ძალადობა — მაღალუნარიანი არადემოკრატიული *და* დაბალუნარიანი დემოკრატიული რეჟიმები;

დაბალი ძალადობა — მაღალუნარიანი დემოკრატიული რეჟიმები.

სადაც არსებითი გადასვლა ხდება ერთი ტიპიდან მეორე ტიპზე, იქ კოლექტიური ძალადობის საერთო დონის ცვლილებას უნდა ველოდოთ. თუ მაღალუნარიანი არადემოკრატიული რეჟიმები თავის უნარს დაკარგავენ, როგორც ეს 1985 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის დაშლის დროს მოხდა, ძალადობის დონის ზრდას უნდა ველოდოთ. თუ ბევრი რეჟიმი განიცდის დემოკრატიზებას თავისი უნარის დაკარგვის გარეშე, უნდა ველოდოთ რომ მოკლევადიან პერსპექტივაში კოლექტიური ძალადობა მოიმატებს, რადგან გამძაფრდება კონტროლისთვის ბრძოლა, რასაც შემდეგ ძალადობის დონის გრძელვადიანი ვარდნა მოჰყვება.

ტიპების მიხედვით ჩვენ სხვადასხვა მოლოდინი გვაქვს. კონგო-კინშასა და სომალის მსგავსს *დაბალუნარიან არადემოკრატიულ რეჟიმებში,* მოსალოდნელია რომ წვრილი ტირანები თავისუფლად გამოიყენებენ იძულების მექანიზმებს, სამთავრობო პირები ძალადობრივად დასჯიან თავიანთ მტრებს როცა დაიჭერენ, ხოლო ძალადობის საშუალებები ფართოდ იქნება გადანაწილებული სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორზე. ბელგიისა და იამაიკის მსგავსს *დაბალუნარიან დემოკრატიულ* რეჟიმებში მოსალოდნელია ძალადობრივ რეპრესიებში სამთავრობო პირების ნაკლები ჩართულობა, მაგრამ თავში არაძალადობრივი კონფლიქტების ძალადობრივში გადაზრდა, ვინაიდან შეთანხმებების

აღსრულებისთვის სამთავრობო აგენტები არ წარმოადგენენ ქმედით მესამე მხარეს, მით უმეტეს ესკალაციის შემკავებლებს.

როცა საქმე ეხება *მაღალუნარიან დემოკრატიულ* რეჟიმებს, როგორებიცაა გერმანია და იაპონია, რუტინული პრეტენზიების წაყენებისას ძალადობის დაბალი დონე, ასევე სამთავრობო აგენტების მიერ ძალადობრივი საშუალებების უაღრესად შერჩევითად და შესაბამისად, შედარებით იშვიათად გამოყენება არის მოსალოდნელი. ასეთ რეჟიმებში კოლექტიური ძალადობისას აგრეთვე მოსალოდნელია სამთავრობო აგენტების ფართო ჩართულობა (ინიციატორის, ობიექტის ან მშვიდობისმყოფელის სახით). ირონიულია, რომ ჯამური ეფექტია, როცა ადგილი აქვს ძალადობას, მისი პოლიტიკური გავლენა ერთიორად უნდა გაიზარდოს; ყოველი მიყენებული ზიანი ამძაფრებს იმის პოლიტიკურ წონას, რის გარშემოც მონაწილეები პაექრობენ და ეს განსაკუთრებით ასეა, იმ რეჟიმებში, სადაც კოლექტიური ძალადობა ყოველდღიური მოვლენაა.

დაბოლოს, ჩინეთისა და ირანის მსგავსს *მაღალუნარიან არადემოკრატიულ რეჟიმებს* უნდა ახასიათებდეთ სამთავრობო აგენტების მხრიდან ძალადობის მუქარა, კოლექტიური ძალადობის შემთხვევაში სამთავრობო აგენტების ხშირი ჩართულობა, მაგრამ დიდი ცვალებადობა კოლექტიური ძალადობის ფაქტობრივ სიხშირეში, რაც დამოკიდებულია დაუმორჩილებლობის შესაძლებლობების გახსნაზე და დახურვაზე. ასეთ რეჟიმებში, მაღალუნარიანი დემოკრატიული რეჟიმების მსგავსად, თვალსაჩინო ძალადობა პაექრობის მაღალ პოლიტიკურ წონაზე მიუთითებს. მესამე თავში ყველა ამ დასკვნის დამტკიცება არ მოხდება, თუმცა მასში ნაჩვენები იქნება, რომ კოლექტიური ძალადობა განსხვავებულია რეჟიმების მიხედვით იმგვარად, რომ ეს არგუმენტები მის ახსნაში დაგვეხმარება.

გადაკეთებული შეკითხვები

პაექრულ პოლიტიკაში ჩვენი ექსპედიცია ღირებულ დასკვნებს გვაძლევს. ახლა შეგვიძლია დავაკონკრეტოთ წინა თავში დასმული კითხვები კოლექტიური ძალადობის შესახებ. რომ დავაკონკრეტოთ, ჩვენ ვეძებთ პასუხებს შემდეგ დიდ კითხვებზე.

1. *რა პირობებში, როგორ და რატომ უყენებს ხალხი ერთმანეთს კოლექტიურ პრეტენზიებს?* წიგნის დარჩენილი ნაწილი ამ დიდ კითხვებზე ჩვენს ხელთარსებულ პასუხებს ეყრდნობა, თუმცა ის არ გვთავაზობს ახალ პასუხებს, გარდა ძალადობრივი პრეტენზიების წაყენებასთან დაკავშირებით. ამ თავმა პირველადი წარმოდგენა შეგვიქმნა იმაზე, თუ როგორ ზეგავლენას ახდენენ განსხვავებული ტიპის პოლიტიკური რეჟიმები და აქტორები კოლექტიური პრეტენზიების წაყენების ხასიათზე. აღნიშნულ თავში ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა სახის პოლიტიკური იდენტობის კონსტრუირება და გააქტიურება, როგორც გადამწყვეტი ელემენტი, ამასთანავე, ხაზი გაესვა, თუ რა ფორმებს მიიღებს პაექრული პოლიტიკები.

2. *რა განაპირობებს ზოგიერთი პოლიტიკური პრეტენზიის წაყენების ძალადობრიობას ან არაძალადობრიობას?* ამ მხრივ შემდგომ თავებში რაიმე მკაცრი ზოგადი კანონები არ იქნება აღმოჩენილი. დადგენილია შუალედური წერტილი, საიდანაც შეგვიძლია დავინახოთ რომ ძალადობრიობასა და არაძალადობრიობას შორის ზღვარი დამოკიდებულია მცირე გამომწვევი მიზეზების არაპროგნოზირებად კომბინაციებზე. ანალიზი გვაძლევს საშუალებას ერთმანეთისგან გავარჩიოთ მეტადძალადობრივი და ნაკლებძალადობრივი სოციალური პროცესები. ამ თავში განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული პოლიტიკური

საქმოსნების, ძალადობის სპეციალისტებისა და რეჟიმის მიერ პრეტენზიების წაყენების სხვადასხვა ფორმის კონტროლის მნიშვნელობაზე. ასევე დამატებით დასმული იყო საკითხი იმაზე, თუ როგორ იძენენ (ან ვერ იძენენ), პოლიტიკური აქტორები იძულების საშუალებებსა და მათი გამოყენების ტექნიკებს.

3. *როცა ძალადობრივი პრეტენზიის წაყენება ხდება, რითი აიხსნება ადამიანების ან საგნების პირდაპირი დაზიანების ფორმებს, მნშვნელობასა და კოორდინირებულობას შორის ვარიაციები?* აქ ჩვენ წიგნის მთავარ პრობლემას მივადექით. ამ თავში გაშლილი პრეტენზიების წაყენების, რეჟიმებისა და პოლიტიკური აქტორების შესახებ ზოგადი იდეების საფუძველზე, შემდგომი ნაწილები უფრო ახლოს განიხილავს ძალადობრივი ეპიზოდების ცვლილებას და ცვალებადობას, განმეორებადი მექანიზმები და პროცესების განსასაზღვრად, რომლებიც სხვადასხვა კომბინაციაში, მიმდევრობასა თუ მოცემულობაში ხელს უწყობს ძალადობრივი პრეტენზიების წაყენების ცალკეულ ფორმებს და თრგუნავს სხვებს.

ეს სამი აქტუალური კითხვა წარმართავს შემდეგ თავში კოლექტიური ძალადობის ტენდენციებსა და ვარიაციების შესახებ კვლევას. ამის შემდეგ ისინი დაგვეხმარებიან ძალადობრივი რიტუალების, კოორდინირებული განადგურების, ოპორტუნიზმის, ხელჩართული ბრძოლის, გაბნეული თავდასხმებისა და ჩაშლილი სპირალური მოლაპარაკებები გავიაროთ. საბოლოოდ ისინი ცხადყოფენ, თუ როგორ ურთიერთქმედებს გააქტიურება, ჩახშობა, ინკორპორირება და განცალკევება, რათა წარმოქმნან ან შეაკავონ ძალადობრივი პაექრობა.